ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **ქრისტიანობის ისტორია**

დუგლაძე დავითი

ეკუმენური მოძრაობა და სქიზმის პროვოკაციის მცდელობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში 1997 წელს (ქართულენოვანი პერიოდული მასალების მიხედვით)

ნაშრომი შესრულებულია ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი გიორგი პაპუაშვილი,
ისტორიის დოქტორი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია ---------- 3

Anotation ---------- 4

შესავალი ---------- 5

თავი I ეკუმენიზმი და ეკუმენური მოძრაობა ---------- 9

1.1. ეკუმენიზმის არსი და ეკუმენური მოძრაობის ისტორია ---------- 9

1.2. ეკუმენური კავშირები XX საუკუნის 20-30-იან წლებში ---------- 15

1.3. მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ასამბლეები ---------- 19

1.4. მსოფლიო ქრისტიანული კონფერენციების დაარსება ---------- 22

1.5. ვატიკანის მეორე კრება რომში ---------- 23

1.6. ლოზანის კონფერენცია ---------- 25

1.7. „ტორონტოს დეკლარაცია“ ---------- 27

თავი II რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობა და ეკუმენიზმი XX საუკუნის მეორე ნახევარში ---------- 31

2.1. მისიონერული მოღვაწეობა ---------- 31

2.2. იდეოლოგიის კრახი და „რელიგიური გამოცოცხლება“ ---------- 34

თავი III ეკუმენიზმი, ეკუმენური მოძრაობა და საქართველოს სამოციქულო მართლამდიდებელი ავტოკეფალური ეკლესია ---------- 39

თავი IV ეკუმენური მოძრაობის თეორიული არსი და მისი კულტუროლოგიური მნიშვნელობა ---------- 45

4.1. კონფესიური დაყოფის საეკლესიო და არასაეკლესიო მიზეზები ---------- 47

4.2. საეკლესიო სქიზმისა და ერთობის ისტორიული გამოვლინებები ---------- 50

თავი V ეკუმენური მოძრაობა და საეკლესიო განხეთქილების მცდელობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში (1997 წ.) ---------- 61

დასკვნა---------- 72
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 76
დანართები ---------- 82

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ეკუმენური მოძრაობის ჩასახვა-განვითარების ისტორია და ამ მოძრაობაში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაწევრიანებისა და 1997 წელს მისი დატოვების მიზეზები - საკითხები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციური პროცესების ფონზე უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ნაშრომის მიზანია აღნიშნული მოძრაობის რაობის და მასთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის შესახებ არსებული მასალის მოძიება,შესწავლა და გაანალიზება,რაც წარმოაჩენს განვითარებული პროცესების წარმომშობ მიზეზებსა და მიღებულ შედეგებს.

კვლევის შედეგად დადგენილია რომ ეკომენუმაკოორდინირებელი ორგანიზაცია ‘რი მოძრაობა და მისი კლესიათა მსოფლიო საბჭო“,რომელიც სხვადასხვა ქრისტრიანული დენომინაციის ურთიერთობისა და თანამშრომლობის მიზნით შეიქმნა,მიუხედავად მათი არსობრივი სხვაობისა თანდათან იქცა სხვადასხვა აღმსარებლობის ეთრთგვარი ხელოვნური ერთობის იღწევის მცდელობად და ზეეკკლესიური გაერთიანების სახე მიიღო,რამაც გამოიწვია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთა უარყოფითი რეაქცია და საბოლოოდ ამ ეკლესიის მიერ აღნიშნული ეკლესიის დატოვება.

Annotation

The master´s work discusses the history of the Ecumenical movement´s start and development and the reasons for juining the Georgian Apostolic Autocephalous Church and leaving it in 1997 – issues the have become increasingly important in light if global economic and political globalization process.

The purpose of this work is to find,study and analyze material of the abovementioned movement and its realitionship with the Georgian Orthodox Church, whilich illustrates the causes and results of the developed processes.

The study has found that the Ecumenical movement and its coordinating organization, the World Council of Churches,which was created to communicate and cooperate with various Christan denominations,were gradually tryng to acheve some kind of artificial unity of different denominations and it has the Georgian Orthodox Church and eventually to the abandonment of this movement by the church.

შესავალი

გლობალიზაციის პროცესმა, მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებმა - რელიგიური, კუტურული, ინტელექტუალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანების მცდელობამ, თავისებური ასახვა ჰპოვა ქრისტიანულ ეკლესიათა ცხოვრებაზე. ის რაც წარმოუდგენელი იყო ადრე, დღეს უკვე ნორმად იქცა: ქრისტიანები, იუდეველები, მუსლიმანები, ბუდისტები და სხვანი ერთად ლოცულობენ – „საყოველთაო მშვიდობისათვის", მონაწილეობენ რელიგიათა შორის დიალოგებში და აცხადებენ, რომ ყველას, განსაკუთრებით მონოთეისტურ რელიგიებს „საერთო ღმერთი" ჰყავთ. ალბათ, არ იქნება ხმამაღალი თუ ვიტყვით, რომ ქრისტიანული ცნობიერების მთავარ საკითხად დღეს „ეკუმენიზმი" იქცა.

თანამედროვე ეკუმენური მოძრაობა ჩაისახა პროტესტანტული ეკლესიის წიაღში XIX-XX საუკუნების მიჯნაზე. ტერმინი „ეკუმენიზმი" მოიფიქრა და ხმარებაში შეიტანა ჯონ მოტმა (1865-1955) „საერთაშორისო მისიონერთა საბჭოს" კონფერენციაზე, რომელიც 1910 წელს მისივე თავჯდმარეობით შედგა ედინბურგში (შოტლანდიაში). კონფერენციამ განიხილა რწმენისა და საეკლესიო მოწყობის საკითხები და იდეალად გამოაცხადა ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანება დოგმატური და კანონიკური განსხვავებების ხელშეუხებლად, რაც ნიშნავს ქრისტიანული კონფესიების თანაარსებობას საერთო პრინციპებისა თუ თეორიული წანამძღვარების საფუძველზე. ეს მოძრაობა თანდათან გაფართოვდა და გაძლიერდა, შეიძინა მომხრეები პროტესტანტული სამყაროს გარეთაც

და შესაძლებელი გახდა საერთაშორისო მასშტაბის ორგანიზაციის, ანუ ეკუმენური მოძრაობის ბირთვის შექმნა – „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს“ სახით. ეს გახლავთ ყველაზე დიდი საერთაშორისო ეკუმენური ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1948 წელს ამსტერდამში.

თავდაპირველად ეკუმენისტური მოძრაობის მიზანი იყო მხოლოდ ქრისტიანულ მიმდინარეობათა სულიერი გაერთიანება. XX საუკუნის II ნახევრიდან კი გადაიქცა პანეკუმენისტურ ანუ საერთო რელიგიურ მოძრაობად, რომელიც მოწოდებულია მსოფლიოში (ეკუმენა) არსებულ ქრისტიანულ და არაქრისტიანულ რელიგიათა გასაერთიანებლად. საერთო რელიგიური ეკუმენიზმის მრწამსის თანახმად, ადამიანთა ცხონება უნდა მოხდეს სხვადასხვა გზით, მათი რწმენის შესაბამისად, რადგან მიაჩნიათ, რომ ჭეშმარიტება მეტ-ნაკლებად ყველა რელიგიაშია და ცხონება ყველგან არის შესაძლებელი. ე.ი. ეკუმენისტური მოძღვრებით, ყველა რელიგია - როგორც ქრისტიანული, ასევე არაქრისტიანული - ამა თუ იმ ზომით ღვთივგამოცხადებულია და თითოეულში არსებობს მაცხოვნებელი ღვთის მადლი. არადა ყოველთვის ითვლებოდა, რომ ქრისტიანული და არაქრისტიანული მიმდინარეობები სრულიად შეუთავსებელი არიან.

კვლევის მიზანი: მსოფლიოში მიმდინარე რელიგიურ პროცესებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებების ანალიზი, როგორც მათი კრიტიკა, ისე დადებითი მხარეების წარმოჩენა. კვლევის მიზანს, აგრეთვე, წარმოადგენს მთლიანად ეკუმენური მოძრაობის არსის, მისი ისტორიის მიმოხილვა. ასევე, ეკუმენური კავშირების, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ასამბლეების, მსოფლიო ქრისტიანული კონფერენციების დაარსების, რომაულ კათოლიკური ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობის განხილვა და ანალიზი. ნაშრომის მიზანია აგრეთვე აჩვენოს თუ რა პროცესები მიმდინარეობდა რელიგიაში საბჭოთა იდეოლოგიის კრახის შემდეგ, ამ პერიოდში ეკუმენური მოძრაობა და საქართველოს სამოციქულო მართლამდიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მდგომარეობა, კერძოდ, ეკუმენური მოძრაობა და 1997 წელს საეკლესიო განხეთქილების მცდელობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ყოველივე ამის შემდეგ სწორი დასკვნების გამოტანა.

კვლევის საგანი: აღნიშნული ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ეკუმენური მოძრაობა მსოფლიოში და მისი გავლენა და პრობლემები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, კერძოდ, 1997 წელს საეკლესიო განხეთქილების მცდელობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება ისტორიულ-შედარებითი და ლოგიკური კვლევის მეთოდები. რაცსაბოლოოჯამში, ეკუმენურ იდეოლოგიასა და მისი მიმდევრების საქმიანობასთან დაკავშირებით სრულ სურათს ქმნის.

გამოკვლევის თეორიული საფუძველი: საკითხის წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ბაზას შეადგენს ქართველ და უცხოელ ავტორთა კვლევის შედეგები ეკუმენიზმის, ეკუმენური მოძრაობისა და საქართველოს მართმადიდებებლ ეკლესიაში განხეთქილების მცდელობის შესახებ. კერძოდ, ეკუმენიზმის არსსა და მის ისტორიაზე მუშაობისას დავეყრდენი კვლევებს: А. Кураев. Вызов экуменизма, М., Грифон, 2008; В. Федоров. Христианский экуменизм как социально-религиозный феномен (диссетация), Санкт-Петербург, 2008; ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010; არაშვილი, გ. ზოგიერთი კანონიკური საკითხის შესახებ, ნაწ. 1, თბ., 1998; მესხი, თ. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თბ., 2012; ანანია (ჯაფარიძე). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ნაწილი I, თბ., „გუმბათი“, 2012 და სხვ. დისერტაციას: В. Федоров. Христианский экуменизм как социально-религиозный феномен (диссетация), Санкт-Петербург, 2008; სტატიებს: ი. არაბიძე. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2013, [ტ.] 2; ინტერნეტ საიტებს: ს. ნინიკაშვილი. რას ნიშნავს ეკუმენიზმი? http://www.ttimes.ge/archives/76194; А. Лебедев (Протоиерей) Православная Церковь и экуменическое движение сегодня. https://www.fatheralexander.org/booklets/russian/ecumenism_a_lebedev.htm;Т.Михаилидиса. Православие и экуменизм http://agionoros.ru/docs/525.html; ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ისტორია. http://xareba.net/2488-eklesiatha-msoflio-sabtcos-istoria.html; ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010; არსენი (ვლიანკოფტი)

მართლმადიდებელი მონაზვნობა და რელიგიური სინკრეტიზმი http://martlmadidebloba.ge/sacdurebi17.html; გ. ფერაძე. მსოფლიო კონფერენცია ლოზანაში „რწმენისა და საეკლესიო წყობისათვის" https://matiane. wordpress.Com /2009/08/25/ peradze-lausanne-conference/ და სხვ.

საქართველოს სამოციქული ეკლესიის ეკუმენურ მოძრაობასთან ურთიერთობასა და 1997 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში სქიზმის პროვოკაციის მცდელობაზე გამოყენებული იქნა ანანია ჯაფარიძის „საქართველო სსამოციქულო ეკლესიის ისტორია", ნაწილი I, თბ., „გუმბათი", 2012; სერგო ვარდოსანიძის „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები", თბ., 2011. ქეთევან პავლიაშვილის „ქრისტიანობის ისტორია", თბ., „მერიდიანი", 2010 და სხვ. აგრეთვე ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და ინტერნეტ საიტები. კერძოდ: ზ. ცხოვრებაძე, რა შეიძლება მოჰყვეს საეკლესიო განხეთქილებას? ვისკენ არის მიმართული საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა მზერა? // ჯვარი ვაზისა. - თბილისი, 1997. - N1; დ. გელაშვილი. გამოღმა შერჩენის იმედით... // საქართველოს რესპუბლიკა. - თბილისი, 1997. - 14 ივნისი. - N136; ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივნის, დოქტორ გლენ ვილიამსის ვიზიტი საქართველოში // ჟ. „ჯვარი ვაზისა", 1980, №2;გ. სანაია, ქართული ეკლესია დაპირისპირებას გადაურჩა // რეზონანსი. - თბილისი, 1997. - 21 მაისი. - N13; თ. გაბისონია. ქართული ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან გამოსვლა განდგომილ პირებს არ აკმაყოფილებთ : ისინი სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვენ // რეზონანსი. - თბილისი, 1997. - 31 ივლისი. - N207 და სხვ. აგრეთვე ინტერნეტსაიტები: უწმიდესიდაუნეტარესი, სრულიადსაქართველოსკათოლიკოს-პატრიარქიილია II.ფანატიზმს რწმენა და სიყვარული უნდა დავუპირისპიროთ ttp://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/skhva/ fanatizmi. htm; შ. მერკვილაძე. ვინც მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტებას იპოვის, კვლავ განაგრძობს რაღაცის ძიებას, სიცრუეს დაეძებს http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/es-unda-vicodeth/2039-vinc-mas-shemdeg-rac-tceshmaritebas-ipovis-kvlav-ganagrdzobs-raghacis-dziebas-sicrues-daedzebs.html და სხვ. სადაც ასახულია ეკუმენიზმის არსის, ეკუმენური

კავშირების, მსოფლიო ეკლესაითა საბჭოს, მისიონერული მოღვაწეობისა და თანამედროვე გლობალურ ეპოქაში ეკუმენური მოძრაობის რაობისა და მისი გავლენის შესახებ საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტუქტურა: ნაშრომი შეიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 90 გვერდს, მათ შორის ტექსტი 75 გვერდია. ტექსტი აკრეფილია Sylfaen-12-ში. ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის,11 ქვეთავის და დასკვნისგან.

ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც შედგება დასახელებისგან და დანართი.

თავი I

ეკუმენიზმის და ეკუმენური მოძრაობა

1.1. ეკუმენიზმის არსი და ეკუმენური მოძრაობის ისტორია

ეკუმენიზმი - მსოფლიო საქრისტიანო სამყაროში ერთ-ერთი სადაო რელიგიური გაგებაა, რომლის ირგვლივაც ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო, სასულიერო და ფართო საზოგადოებრივ წრეებში: ერთნი ეკუმენიზმს მსოფლიო ეკლესიის ყველაზე საშიშ ერესად მიიჩნევენ, მეორენი მასზე დადებითი შეხედულების არიან და ეყრდნობიან რა წმინდა წერილს ამტკიცებენ, „რომ სწორედ რელიგიათა ერთობისათვის მოწოდებულ ეკუმენურ მოძრაობას გულისხმობდა იესო ქრისტე თავის სიტყვებში: „რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს ქვეყნიერებამ, რომ შენ წარმომგზავნე“ (იოანე 17:21).

ტერმინი „ეკუმენიზმი“ ახალი არ არის. მასზე სულ უფრო ბევრს ქადაგებენ, საუბრობენ ეკუმენისტურ გაერთიანებებზე, ეკუმენისტურ ღვთისმეტყველებაზე და ა.შ. თუმცაბევრმაარიცის, რომესააქრისტიანულიერთიანობისაკენმიმართულიმოძრაობა.

სახელწოდება წარმოდგება ბერძნული ზმნისგან „oieko“ („ვცხოვრობ“). აქედან – „ოიკუმენე“, რაც, სიტყვა–სიტყვით, დასახლებას, ბინადრობას ნიშნავს. გადატანითი შინაარსით კი – დედამიწის ადამიანებით დასახლებულ ნაწილს, ე.ი. კაცობრიობას, ცივილიზებულ მსოფლიოს. შესაბამისად, ოიკუმენური, ანუ ეკუმენური მოძრაობა გულისხმობს მსოფლიო მოძრაობას. მისი უმთავრესი მიზანი ქრისტეს მორწმუნეთა გაერთიანება, ე.წ. „მსოფლიო ეკლესიის“ შექმნაა.[1]

ეკუმენიზმის პრობლემა მჭიდრო კავშირშია გლობალიზაციის თემასთან, რომელმაც მოიცვა მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო: პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული. თანდათანობით ეკუმენიზმი გადაიქცა საერთო გლობალიზაციური პროცესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ელემენტად და მძლავრ იარაღად „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების საქმეში. ეკუმენიზმის როლი ზემო აღნიშნულ პროცესში ფრიად საპასუხისმგებლო აღმოჩნდა.[2]

ეკუმენური იდეოლოგიის ფუნქცია მდგომარეობდა ყველანაირი - რელიგიური, ნაციონალური და იდეოლოგიური საზღვრების მოშლაში, თვითმყოფადობის, ნაციონალური თვითშეგნების, ეროვნული ისტორიის შემეცნების ლიკვიდაციაში. ეს უკანასკნელი კი გლობალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი და მძლავრი იარაღია და ამ საქმეში ეკუმენიზმს არც თუ უმნიშვნელო როლი აქვს დაკისრებული.

ეკუმენური მოძრაობის საწყის პერიოდად მსოფლიო ისტორიოგრაფიაში 1850-1910 წლები მოიაზრება. აღნიშნული მოძრაობა ჩაისახა პროტესტანტული ქრისტიანობის წიაღში XIX საუკუნის შუა ხანებში ანგლიკანურ ეკლესიასა და ამერიკაში.[3]

---

[1]ს. ნინიკაშვილი. რას ნიშნავს ეკუმენიზმი? http://www.ttimes.ge/archives/76194

[2]А.Кураев. Вызов экуменизма, М., Грифон, 2008, стр. 21

[3]Лебедев, А. (Протоиерей) Православная Церковьи экуменическое движение сегодняhttps://www.fatheralexander.org/booklets/russian/ecumenism_a_lebedev.htm

XIX საუკუნე უმნიშვნელოვანესი პერიოდია მსოფლიო და განსაკუთრებით დასავლეთ ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკურ ისტორიაში. მთელი XIX საუკუნე ევროპისათვის რთული პოლიტიკური კატაკლიზმების ხანაა: სოციალური ხასიათის დაპირისპირებები, მსოფლიოს გადანაწილებისა და მასზე ბატონობის მოპოვებისათვის მიმდინარე განუწყვეტელი ომები, უდიდესი სამეცნიერო - ტექნიკური აღმოჩენები, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს ადამიანის მანამდე არსებული წარმოდგენა სამყაროს შესახებ, შეარყიეს მისი რწმენა ყველასა და ყველაფრისადმი. საზოგადოებას მოთხოვნილებად ექცა ყველაფრისადმი მეცნიერული და პრაგმატული მიდგომა; თანდათანობით დაიწყო საზოგადოების ზნეობრივ-რელიგიური პროცესის დეგრადირების პროცესი.[4]

XIX საუკუნის მიწურულისათვის ჩამოყალიბებულ იმპერიებს (ინგლისი, გერმანია, რუსეთი და სხვ.) მსოფლიოში გაბატონების სურვილი ამოძრავებდათ. ამ საქმეში მათ რელიგია ჩართეს და კოსმოპოლიტიკურ რწმენაზე დაფუძნებით შეეცადნენ მსოფლიო ხალხების მორჩილებაში მოყვანას, ისე, რომ მათი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული ყოფილიყო. იმპერიებმა დაიწყეს სოციალ-პოლიტიკური მშვიდობის დამყარება - შენარჩუნებისათვის რელიგიის გამოყენება. ამრიგად, XIX საუკუნეში მსოფლიოს მძლავრმა სახელმწიფოებმა რელიგიას პოლიტიზირებული სუბიექტის დატვირთვა მიანიჭეს.

რელიგიის ახალმა, დაკნინებულმა ფუნქციამ ჭეშმარიტ სარწმუნოებას აუწერელი ზიანი მიაყენა - საზოგადოებაში გაჩნდა ნიჰილიზმი და ეკლესიისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულება; დაიწყო ღრმა ე.წ. „რელიგიური კრიზისი“, ანუ უფრო ზუსტად რელიგიისადმი საზოგადოებრივი აზრის კრიზისი. მიმდინარე გარემოებას ქრისტიანული კონფესიების ეკლესიები სხვადასხვაგვარად შეხვდნენ. კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით, რთულ პოლიტიკურ-სოციალურ პროცესებს პროტესტანტული ეკლესია უკეთ უღებდა ალღოს. პროტესტანტული მიმართულება თავისი წარმომშობი ეპოქის დინამიური ხასიათიდან გამომდინარე, XX საუკუნეშიც სხვა რელიგიებთან მიმართებაში

[4]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობისისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 589

მოქნილობას ავლენდა და აქედან გამომდინარე, ბუნებრივი მოვლენაა ის ფაქტი, რომ ეკუმენური მოძრაობის ჩანასახები სწორედ პროტესტანტულ ქრისტიანობაში გაჩნდა.

ეკლესიათა გაერთიანების მცდელობანი XIX საუკუნის მიწურულში გაჩნდა და ახალგაზრდული ორგანიზაციების „მამაკაც ახალგაზრდების ქრისტიანული ასოციაციისა („Young Men Christian Association") და „ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაციის („Young Women Christian Association") მოძრაობით დაიწყო. მოძრაობის ფუძემდებელი იყო ჯორჯ უილიამსი (ლონდონი, 1844 წ.). ასოციაციებს არ გააჩნდათ დოგმატური რაიმე სახის სისტემა და ნახევრად ქრისტიანული იდეოლოგიისა და ჰუმანიტარული მსოფლმხედველობების გაერთიანებები იყო. ეს მოძრაობა თანდათანობით საერთაშორისო მასშტაბის მისიონერულ მოძრაობად გარდაიქმნა.[5]

1910 წელს მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე ქ. ედინბურგში (შოტლანდია) საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანული ეკლესიების ეკუმენურ გაერთიანებას. ამავე კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოება - „შრომისა და ცხოვრების მსოფლიო ქრისტიანული საბჭო", რომლის ამოცანა იყო ცალკეულ ქრისტიანულ ეკლესიათა შორის ურთიერთობების შესწავლა.

ზემოაღნიშნული მოძრაობის პარალელურად ჩამოყალიბდა კიდევ ერთი საზოგადოება - „მსოფლიო კონფერენცია რწმენისა და წესრიგის შესახებ" („რწმენა და წესრიგი", 1920 წ. ქ. ჟენევა). მისი მიზანი იყო ეკლესიათა გაერთიანების ხელის შემშლელი ფაქტორების ლიკვიდაცია.

პირველი მსოფლიო კონფერენცია მოეწყო ქ. ლოზანაში (შვეიცარია) 1927 წელს (იხ.დანართი N1), მომდევნო კი 1937 წელს ქ. ედინბურგში (იხ.დანართი N 2). იმავე წელს ორივე მოძრაობამ 7 - კაცისაგან დაკომპლექტებული „თოთხმეტთა კომიტეტი" დააარსა, რომლის ინიციატორობით 1938 წელს ქ. უტრეხში (ჰოლანდია) მოიწვია საკონსულტაციო კონფერენცია. კონფერენციამ საერთო ამოცანების გადაწყვეტის მიზნით შექმნა მუდმივ მოქმედი ორგანო-ეკლესიების მსოფლიო საბჭო. იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, საბჭოს ორგანიზაციული გაფორმება 1948 წელს ქ. ამსტერდამში მოხდა ეკლესიების მსოფლიო ასამბლეაზე. აღნიშნულ ფაქტს მოჰყვა ყრილობების მთელი

[5]А. Кураев. Вызов экуменизма, М., Грифон, 2008, стр. 5

წყება. პირველი - ედინბურგში (1927 წ.), მეორე ევანსტონში (1950 წ.), მესამე-ნიუ-დელში (1961 წ.), მეოთხე უფსალაში (შვედეთი) (1968 წ.), მეხუთე - ნაირობში (კენია) (1975 წ.), მეექვსე - ვანკუვენში (კანადა) (1983 წ,), მეშვიდე - კანბერაში (ავსტრალია) (1991 წ.).[6]

ეკლესიების მსოფლიო საბჭოს უმაღლესი ორგანოა ასამბლეა. ასამბლეა ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც მოქმედებს ასამბლეებს შორის პერიოდში. ეკლესიების მსოფლიო საბჭო ირჩევს 6 პრეზიდენტს. საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა ცენტრალური კომიტეტი. კომიტეტი 120 კაცისაგან შედგება და მას წელიწადში ერთხელ იწვევენ. მსოფლიო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, დავმჯდომარის მოადგილე, გენერალური მდივანი და 11 წევარი. ეკუმენური გაერთიანების ძირითადი პრინციპია - „იესო ქრისტე - მხსნელი ღმერთი, ძე ღვთისა და შუამავალი მამა ღმერთთან“.[7]

ტერმინი „ეკუმენიზმი“ (ეკუმენა, იკუმენა, ოიკუმენა) ბერძნულ ენაზე ნიშნავს „სახლს“, „საცხოვრებელს“. თავის ძირითად, თავდაპირველ მნიშვნელობაში ეკუმენიზმი ნიშნავს „დასახლებულ სამყაროს“, „მთელ დასახლებულ დედამიწას“. მოციქულ მათეს სახარების ტექსტში სიტყვა „ეკუმენა“ სამყაროს, ამ ქვეყანას, ამ სოფელს ნიშნავს. უკვე IV საუკუნის პირველი ნახევრიდან „ეკუმენამ“ მიიღო „მსოფლიო ეკლესიის“ მნიშვნელობა.

თანამედროვე ეპოქაში „ეკუმენა“ პირველად 1910 წელს პირველ მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე მოიხსენიეს (იხ.დანართი N3). ტერმინი მოიფიქრა და პრაქტიკაში შემოიტანა ჯომ მოტმა (1865-1955). ტერმინს თანამედროვე განსაზღვრება 1937 წელს ოქსფორდის კონფერენციაზე მიეცა. ამ დროიდან ტერმინი „ეკუმენური“ ეკლესიის ერთობას გამოხატავს. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კლასიკური რელიგია ეკუმენურია იმ გაგებით, რომ ის მხოლოდ ერთი ეროვნების ხალხისათვის კი არ არის განსაზღვრული, არამედ დედამიწის ნებისმიერი ერისთავის.

ეკუმენიზმის სინონიმად ღვთისმეტყველებაში იხმარება ტერმინი „კონვერგენციის კურსი“, რომელიც ვერ ეთავსება მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას საეკლესიო ერთიანობის საკითხზე, მაგალითად, რუს ღვთისმეტყველთა აღნიშვნით: „კონვერგენციის

---

[6] Лебедев, А. (Протоиерей) Православная Церковь и экуменическое движение сегодня https://www.fatheralexander.org/booklets/russian/ecumenism_a_lebedev.htm

[7] ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 591

გზა“ - ცალკეული კონფესიების დაახლოება, სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთგავლენა და სინკრეტიზმი“ (ვ. სოკოლოვსკი.).

ეკუმენურ მოძრაობაში ეკლესიების თავდაპირველი გაერთიანება სამყაროში მშვიდობის დამყარების მიზეზით მოხდა. XX საუკუნეში მიმდინარე რთული პროცესები: ქრისტიანობის განსხვავებული კომფესიები და მიმდინარეობები, ათეისტური, უღმერთოების იდეოლოგია, სოციალურ-ეკონომიკაური მძიმე გარემოებები, სახელმწიფოთშორისი ურთიერთდაპირისპირებები და ომები უცილობლივ საჭიროებდა მშვიდობის დამყარებისათვის ზრუნვას. ამ უკანასკნელისათვის იყო ისტორიულად მოწოდებული ქრისტიანული ეკლესია და ბუნებრივი იყო ყველა ეკლესიის მისწრაფება ამ მოძრაობაში ჩართვისაკენ. პირველ ეტაპზე ასეთი დიდი, კეთილშობილური მიზნით გაერთიანება ყველა რელიგიის ორგანიზაციისა და მათი წარმომადგენლებისათვის ფრიად საპატიო და საამაყო ფაქტს წარმოადგენდა. აღნიშნულით იყო განპირობებული მოძრაობაში ყველა იმ ეკლესიის ჩართვა, რომელიც ამა სოფელში მშვიდობის დამყარებისათვის იყო მოწოდებული. ამ ეკლესიათა შორის იყვნენ მართლადიდებელი ეკლესიებიც.[8]

აღსანიშნავია, რომ ვატიკანმა იმთავითვე უარი განაცხადა ეკუმენური მოძრაობის სამუშაოებში მონაწილეობის მიღებაზე და მხოლოდ თავის წარგზავნილთა მეშვეობით ეცნობოდა ეკუმენური კონფერენციების მუშაობას, სადაც რომის პაპის წარმომადგენლები კონფერენციებში მეთვალყურის სტატუსით სარგებლობდნენ. რომის პაპმა პიუს XI-ემ 1928 წლის ენციკლით მკაცრად განსაჯა ეკუმენური მოძრაობა, მაგრამ იქვე აღინიშნა, რომ ვატიკანი ამ მოძრაობაში აქტიური მეთვალყურის როლს გასწევდა. ეკუმენური მოძრაობის არსის საზოგადოებისათვის გაცნობა - გააზრების მიზნით, რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ ჩამოაყალიბა მოძრაობა სახელწოდებით - „უნიტასი“, ე.წ. „ერთობა“, სადაც ფართო მუშაობა გაიშალა ეკუმენურ მოძრაობაში კათოლიკური ეკლესიის უპირატესი პოზიციისათვის. აღნიშნული იმის მაჩვენებელი იყო, რომ „მსოფლიო ეკლესიის“ შექმნისათვის ვატიკანმა ყველასაგან დამოუკიდებელი საქმიანობა დაიწყო და ამით

[8]Цели экуменизма https://rusidea.org/40331

პროტესტანტული ეკლესიის ეკუმენურ მოძრაობაში მოღვაწობას უნდობლობა გამოუცხადა.[9]

ეკუმენურ მოძრაობას მართლმადიდებელი ეკლესიების სახელით 1920 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ენციკლით მიმართა. პატრიარქის ენციკლიკში აღნიშნული იყო „ეკლესიათა საბჭოსადმი“ შეთავაზებული ამოცანები და მართმადიდებლობასთან გაუცხოების აკრძალვა. პატრიარქი საბჭოს შემდეგ წინადადებებს თავაზობდა: საერთო კალენდრის შემოღებას, წარმომადგენლობათა შეხვედრების მოწყობას, ღვთისმეტყველთა და საღვთისმეტყველო სკოლების თანამშრომლობას, სტუდენტების გაცვლით ღონისძიებებს, საერთო ქრისტიანული კონფერენციების გამართვას, სხვა ეკლესიათა ტაძრებით სარგებლობას და ა.შ.[10]

ეკუმენისტური საბჭოს სხდომაზე 1948 წელს ბულგარეთის ეგზარქოსმა სტეფანემ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ: „ჩვენმა ეკლესიამ თავისი ინიციატივით შესთავაზა საბჭოს სახალხო ნაციათა ლიგის მსგავსი საეკლესიო კავშირის შექმნა“. აღნიშნული იმის დასტურია, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდნენ ე.წ. „მართლმადიდებელი ეკუმენისტები“, რომლებიც მოძრაობაში აქტიურად ჩაერთვნენ.

ეკუმენისტური მოძრაობის ლიდერებმა აქტიური მუშაობა გაშალეს მოძრაობაში მართლმადიდებლური ეკლესიების მიზიდვის მიმართულებით. ამ მიზნით, 20-იან წლებში შეიქმნა პირველი ეკუმენური კავშირები, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ მოძრაობის ღონისძიებებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მასზე დაქვემდებარებული ალექსანდრიის, ბულგარეთის და ელადის ეკლესიების, რუსული ემიგრანტული ეკლესიის მონაწილეობას. ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. რუსეთის ემიგრანტულმა ეკლესიამ 1938 წლის კარლოვის საეკლესიო კრებაზე დაადგინა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ემიგრანტული ეკლესია ეკუმენურ მოძრაობას ემიჯნებოდა. 1930 წელს იუგოსლავიაში გამართულ უცხოეთში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეორე საეკლესიო კრებაზე ეპისკოპოსმა სერაფიმე პოდსდამელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „აეკრძალოს ყველას ეკუმენურ მოძრაობაში

[9]А. Кураев. Вызов экуменизма, М., Грифон, 2008, стр. 10
[10]Т. Михаилидиса. Православие и экуменизм http://agionoros.ru/docs/525.html

მონაწილეობა, რომელიც დგას ქრისტიანულ რელიგიებისა და აღმსარებლობების თანასწორობის პრინციპზე“. საეკლესიო კრების რეზოლუციაში დაფიქსირდა: „ამ მოძრაობის სათავეში დგანან პირები, არა მხოლოდ უცხონი მართლმადიდებლობისათვის, არამედ ახლოს მდგომნი ანტიქრისტიანულ მასონურ საზოგადოებებთან... ამ მოძრაობაში, მეორის მხრივ, მონაწილეობენ გულწრფელი ხალხიც, მართლმადიდებლობის ერთგულნი“.[11]

1.2 ეკუმენური კავშირები XX საუკუნის 20-30-იან წლებში

XX საუკუნის 20-იან წლებში შექმნილ ეკუმენურ კავშირებს მკვეთრად ჩამოყელიბებული მიზნები და ამოცანები ჰქონდათ:

1)„ეკლესიათა“ ერთობისათვის - „რწმენა და მოწყობილობა“;

2)პრაქტიკული თანამშრომლობისთვის - „ცხოვრება და მოღვაწეობა“;

3)საერთაშორისო ორგანიზაციებზე ორგანიზაციული ზემოქმედებისთვის - „ეკლესიათა ეგიდით საერთაშორისო მეგობრობის მსოფლიო კავშირი“.

„საერთაშორისო მეგობრობის მსოფლიო საბჭოს“ თავმჯდომარეობდა კარნეგი, რომელმაც შექმნა ფონდი (2 მილონი დოლარი).

ეკუმენისტები ყოველწლიურ კონფერენციებს მართავდნენ: განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო 1937 წლის ედინბურგისა და ოქსფორდის მსოფლიო კონფერენციები,სადაც გამოიკვეთა ეკუმენური ეკლესიის ფორმირების იდეა და განხილულ იქნა საერთაშორისო წესრიგის დამყარების გზაზე წარმოშობილი სირთულეების გადალახვის საშუალებები.[12]

ეკუმენური მოძრაობის 17 პუნქტიანი პროგრამა შეადგინა ჯონმოტმა. პროგრამა ედინბურგის კონფერენციაზე მიიღეს. ის გახდა საფუძველი „მსოფლიო ეკლესიების

[11]Т. Михаилидиса.Православие и экуменизм http://agionoros.ru/docs/525.html

[12]В. Федоров. Христианский экуменизм как социально-религиозный феномен (диссетация), Санкт-Петербург, 2008, стр. 12

საბჭოს“ მოღვაწეობის კონკრეტული გეგმის ჯ. მოტია ღნიშნავდა: „ერთიანობას, რომ მიუახლოვდეთ, ჩვენ ვცდილობთ აუცილებლად შემდეგი სახის ღონისძიებები განვახორციელოთ:

1.თვალთა ხედვის გაფართოება;

2.ღვთისმეტყველური აღზრდა;

3.ეკუმენური აზროვნების განვითარება;

4.კვლევითი წრეები;

5.ლოცვის განსაკუთრებული დღეები;

6.ეკლესიათა ურთიერთ დახმარება;

7.სულიერი მზადება;

8.თანამშრომლობის პრინციპები;

9.საძმოები და კავშირები ეკლესიათა გაერთიანებისათვის;

10.რეგიონალური კონფერენციები;

11.ახალგაზრდული ორგანიზაციები;

12.ურთიერთთანამშრომლობის გაფართოება;

13.საეკლესიო ერთობის პროგრამა;

14.განსაკუთრებული ადგილობრივი პირობების გათვალისწინება;

15.ტერიტორიული და ეკუმენური ერთობა;

16.ძველი და ახალი ეკლესიები;

17.მსოფლიო ეკელსიების საბჭო.

პროგრამის ავტორი ზემოჩამოთვლილ ამოცანებს შორის უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა მსოფლიო ეკლესიების საბჭოს, მის შექმნას სტრატეგიულ პრობლემად მოიაზრებდა და თვლიდა, რომ მისი განხორციელებით ზემო ჩამოთვლილი საკითხები უკლებლივ გადაიჭრებოდა. ჯ. მოტი 1895 წელს დაარსებული „მსოფლიოს ახალგაზრდეული კავშირების“ სტუდენტთა ფედერაციის თავმჯდომარეც იყო. მისი ძალისხმევით პარიზში დაარსდა რელიგიურ-ფილოსოფიური აკადემია (ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბერდიაევი); გამოდიოდა ჟურნალი „გზა“ („Путь“); გაიხსნა ღვთისმეტყველების

ინსტიტუტი. ჯ. მოტის დამსახურებით ეკუმენური ეკლესიის იდეა გარდაიქმნა მსოფლიო კოლექტიურ პაპიზმად.[13]

1938 წლის მაისში უტრეხტის კონფერენციაზე შემუშავდა ეკუმენური ეკლესიის გეგმა, მაგრამ მისი დამტკიცება დააბრკოლა მსოფლიო ომის დაწყებამ და ის მხოლოდ 1948 წლის ამსტერდამის მსოფლიო ასამბლეაზე განხორციელდა.

ეკუმენიზმი არსი - XX საუკუნის საზოგადოებრივი აზრი მიმართული იყო კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფეროში გაერთიანებისაკენ: ერთი მსოფლიო ხელისუფლება, ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ერთიანი საინფორმაციო სივრცე და ბოლოს, ერთიანი „ეკუმენური ეკლესია“, ანუ იგივე „ერთიანი სულიერი სივრცე“.

1.პოლიტიკა. პოლიტიკური თვალსაზრისით, მსოფლიო ხელისუფლების შექმნის სამუშაოები გამოვლინდა სხვადასხვა სახის ერთა ლიგისა და გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მსგავსი ორგანიზაციების ფორმირებით. ეკუმენურმა საბჭომ დაამტკიცა თავისი ადგილი გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში. დროთა განმავლობაში, ეკუმენური საბჭოსა და OON-ის ურთიერთობები განმტკიცდა დაუკვე 1954 წელს OON-ის გენერალურმა მდივანმა ჰამერშელდმა რიგით ეკუმენურ ასამბლეაზე ხაზი გაუსვა ორი ორგანიზაციის ურთიერთ ჰარმონიულ თანამშრომლობას, მათ ერთნაირი ამოცანები დაისახეს შესაბამისად თავიანთი ორგანიზაციული მოთხოვნა - ვალდებულებებისა.

2.ეკონომიკა. ეკონომიკურ ურთიერთობებში მთავარ ამოცანას წარმოადგენდა უნივერსალური „ეკონომიკური წერსიგის“ დამყარება. ამ საქმეს ემსახურება: ერთიან მსოფლიო ბანკში კაპიტალის კონცენტრაცია, ერთიან მსოფლიო ვალუტაზე გადასვლა და ერთიანი სოციალური წყობის დამყარება. ოქსფორდის კონფერენციაზე ეკუმენისტებს თავიანთ ეკონომიკურ პროგრამას დაარქვეს „ქრისტიანული სწავლება ეკონომიკურ წესრიგზე“, რაც გულისხმობდა „თავისი კერძო საზოგადოებრივი წყობის ორგანიზებას, ანუ თანამედროვე ტერმინით ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას“.

3.რელიგია. - ახალი „ეკუმენური ეკლესიის“ შექმნის ამოცანა ითხოვდა განსაკუთრებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც გამოიხატა 1948 წელს მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს შექმნით.[14]

---

[13]А. Кураев. Вызов экуменизма, М., Грифон, 2008, стр. 7

ამ რელიგიური ორგანიზაციის მიზანი გახდა ზენაციონალური ეკუმენური ეკლესიის ფორმირება. პოლიტიკის სფეროში ეს არის „სამყარო საზღვრების გარეშე“, დემოკრატიის პრინციპები, ადამიანის უფლებების დაცვა და ე.წ. ზოგად საკაცობრიობო ღირებულებები; ეკონომიკაში - ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა; რელიგიის სფეროში - ეკუმენიზმი არის ერთიანი სულიერი სივრცის იდეოლოგია.

XX საუკუნის მიწურულში ამ იდეოლოგიის გავრცელებაში გადამწყვეტი როლი დაეკისრა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას.

ეკუმენურმა მოძრაობამ ეკლესიათა გაერთიანების მეთოდოლოგია შეიმუშავა; ურთიერთმსაგავსების მეთოდი, ფედერალიზაციის მეთოდი, ინტერკონფესიური მეთოდი, საღვთისმეტყველო სინთეზის მეთოდი, მეტალოგიური მეთოდი.

ურთიერთმიმსგავსების მეთოდი - მასში იგულისხმება ერთმანეთთან არსობრივად ყველაზე ახლო მდგომი აღმსარებლობის დაახლოება. ასეთ ახლოს მდგომ აღმსარებლობად მოიაზრებოდნენ მართლმადიდებლობა და ანგლიკანიზმი.

ფედერაციის მეთოდი. მასში იგულისხმება ერთი ორიენტაციის, მაგრამ დამოუკიდებელი ადგილობრივი ეკლესიების ტერ

იტორიული პრინციპით კავშირი. მაგალითად, ევროპასა და ამერიკაში პროტესტანტული ეკლესიების გერთიანებას სხვადასხვა ნაციონალურ და რელიგიურ საბჭოში.

ინტერკონფესიული მეთოდი. - ყველა კონფესია უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლება-პატივით. ამ მეთოდის დამნერგავნი მიიჩნევდნენ, რომ ეკლესიათა ჭეშმარიტი გაერთიანება შესაძლებელი იყო ყველა ეკლესიის ურთიერთ შენანებით, რადგან მათი რწმენით ეკლესიათა განყოფა ადამიანთა ცოდვებით იყო განპირობებული.

საღვთისლეტყველო სინთეზის მეთოდი. ეს მეთოდი მორწმუნე საზოგადოებას სთავაზობს ეკლესიის საღვთისმეტყველო გამოცდილების შეჯერებას, მაგრამ ამ მეთოდს სერიოზული წანააღმდეგობა ხვდება სხვადასხვა ეკელსიებისაგან.

---

[14]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 594

მეტალოგიური მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად ეკელსიათა გაერთიანება უნდა მოხდეს არა ფორმალური სახით, არამედ სულიერი (ტრანსცენდენტური) შეერთების სახით.

ეკუმენური მოძრაობის პირველი მოღვაწენი - დოქტორი ვისერტჰოფტი - მსაოფლიო ეკლესიათა საბჭოს გენერალური მდივანი 1938-1966 წლებში. ის იყო მსოფლიოს სტუდენტ ქრისტიანთა კავშირის წევრი და მისი კადრი. ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ ჯონ მოტო და დევი დოლდგემი. ეს უკანასკნელი იყო 1910 წლის ედინბურგის კონფერენციის თავმჯდომარე და მდივანი. ეკუმენური მოძრაობის პირველ აქტივისტებად მოიაზრებიან: უფსალის მთავარეპისკოპოსი ნათანზე დერბლოში (1925 წლის სტოკჰოლმის ეკუმენური კონფერენციის ორგანიზატორი), ვილიამ პატონი, ეპისკოპოსი ჩარლზ ბრენტი, როტროუზი, ჯორჯბელი, ვილიამ ტემპლი და სხვები.[15]

მოგვიანებით, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეკუმენისტმა აქტივისტებმა დამოუკიდებელი ეკუმენური ორგანიზაციები შექმნეს: „აღმოსავლურ-აზიური ქრისტიანული კონცეფცია“, „სრულიად აფრიკის საეკლესიო კონფერენცია“, „წყნარი ოკეანის საეკლესიო კონფერენცია“.

1.3. მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ასამბლეები

პირველი მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ასამბლეა გაიმართა 1948 წელს ამსტერდამში (იხ.დანართი N4;იხ.დანართი N5), რომელიც დამფუძნებლური ხასიათის იყო, რადგან სწორედ ამ ასამბლეაზე დაარსდა „მსოფლიოე კლესიათა საბჭო“. თავდაპირველად, საბჭოს დაფუძნება უნდა მომხადრიყო 1941 წელს, რასაც დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ამრიგად, „შემამაზადებელი კომიტეტის“ შექმნიდან დამფუძნებულ კრებამდე ამსტერდამში, მთელი 10 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე, გართულდა ევროპის ეკლესიათა შორის თანამშრომლობა და მას მხოლოდ

[15]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 595

სტიქიური ხასიათი ჰქონდა. ამსტერდა მის ასამბლეაში მონაწილეობდა 147 ეკლესიიდან 351 დელეგატი. ასამბლეამდე მოხსენებით წარდგნენ პროტესტანტული სამყაროს ცნობილი თეოლოგები: გუსტავ აულენი, პროფესორი კლარენს კრები, პროფესორი ჯონ გრეგი, პროფესორი კარლ ბარტი, გ. ფლოროვსკის და სხვ. ასამბლეაზე შემუშავდა ეკლესიის თავისებური განსაზღვრება ფორმატის სახით, რომლის თანახმად ეკლესია ყველა მოქმედი ეკლესიის სინთეზი იყო.[16]

მეორე ასამბლეა გაიმართა 1954 წელს ევანსტონში (აშშ). ასამბლეაში მონაწილეობდა 160 ეკლესიის 502 დელეგატი. ასამბლეის ლოზუნგი იყო - „ქრისტე - მშვიდობის იმედი". დელეგატებმა აღადგინეს 1948 წლის დამფუძნებელი ასამბლეის ვალდებულებები და ფიციდადეს: „ჩვენ ისე ვუძღვნით თავს ღმერთს, რათა მან მოგვცეს შესაძლებლობა ერთი მიზნის განხორციელებისა". ეკუმენური თვალსაზრისით ეს ასამბლეა ყველაზე უსუსური იყო. ასამბლეაზე დელეგატებმა გაანალიზეს ეკლესიის სწავლებანი და მათგან გამოკვეთეს ის, რაც ეკლესიებს გარდაქმნიდა უნივერსალური ეკუმენური „დიდი ეკლესიის" ნაწილად. ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა პირველად კომუნისტური იდეოლოგიის კრიტიკა ქრისტიანული პოზიციებიდან.[17]

მესამე ასამბლეა გაიმართა 1961 წელს ინდოეთის ქალაქ ნიუ-დელში, რომელსაც ესწრებოდა 181 ეკლესიიდან 587 დელეგატი. ასამბლეა მიმდინარეობდა დევიზით - „იესო ქრისტე - მშვიდობის სინათლე". ასამბლეაზე განხორციელდა „საერთაშორისო მისიონერული საბჭოს" გაერთიანება მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან ასამბლეის დელეგატებს შორის გამოჩნდნენ მართლმადიდებელი ეკლესიების: რუსეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის დელეგაციებიც.

მეოთხე ასამბლეა მოეწყო 1968 წელს ქ. უფსალაში (შვეცია), რომელშიც 700 დელეგატი მონაწილეობდა. ასამბლეამ გამოკვეთა თავისი ამოცანა - ქრისტიათა დარაზმვა სამყაროში სიღატაკის აღმოსაფხვრელად. ამავდროულად, სოციალურ

[16]ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ისტორია, http://xareba.net/2488-eklesiatha-msoflio-sabtcos-istoria.html
[17]ი. არაბიძე. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2013, [ტ.] 2, გვ. 298

პრობლემებთან ბრძოლასთან ერთად, ასამბლეა მთავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად და ყველა ეკლესიის მოვალეობად დასახა ევენგელიეს ქადაგება დაცემულთა სულების გადაჩენის მიზნით.

1975 წელს ნაირობში (კენია) ჩატარდა მეხუთე ასამბლეა. ამასამბლეაზე შეინიშნებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს „ზე-ეკლესიად“ გარდაქმნის ტენდენციები; ასამბლეაზე გაფორმებიდან ამოღებულ იქნა ზოგად ქრისტაინული სიმბოლოები (ჯვარი).

მეექვსე ასამბლეა შედგა 1983 წელს ვანკუვერში (კანადა), სადაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ისტორიაში პირველად ოფიციალურად მიწვეულ იყვნენ იუდაიზმის, ისლამის, ბუდიზმისა და სხვა რელიგიათა წარმომადგენლებიც.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მეშვიდე ასამბლეა გაიმართა 1991 წლის 7-20 თებერვალს კანბერაში (ავსტარლია).[18]

დღეს ყოველმხრივ აღიარებულია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ღრმა კრიზისს განიცდის და უცნობია, თუ საით მიემართება. ფაქტია, ვინმეს რომ მოენდომებინა კარგად გამოეკვლია კრიზისი, რომელსაც განიცდის არამარტო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ფარგლებში გამართული, არამედ მართლმადიდებელთა და არამართლმადიდებელთა სხვა დიალოგებიც, უნდა გამოეკვლია არახილული (პაპისტების უნიატური შემოჭრის მუდმივი მცდელობები, პროტესტანტთა მხრიდან ქალთა ქიროტონიები და ჰომოსექსუალისტთა ქორწინებები), არამედ ძირითადი მიზეზები, როგორიცაა „ემს-ის აშკარა სინკრეტული სულის კვეთება, რომლითაც მისი ბევრი მოღვაწეა განმსჭვალული“.[19]

დღეს განვითარებული მოვლენების სათავე, რაღა თქმა უნდა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დამფუძნებელ წესდებაშია, რომელიც:

1)„მოუწოდებს ეკლესიებს ხილული ერთობისაკენ ერთი რწმენითა და ერთი ევქარისტიული ზიარებით, როგორც ქრისტეში ერთობის გამომხატველს, რათა მსოფლიომ ირწმუნოს.

---

[18]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 596

[19]ი. არაბიძე. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2013, [ტ.] 2, გვ. 299

2) ხელს უწყობს ეკლესიების ერთობლივ დამოწმებას, რათა პასუხს სცემდეს ყველას და თითოეულს.

3) მხარს უჭერს ეკლესიებს მათი საკაცობრიო მნიშვნელობის სამოციქულო და ევანგელიზაციის საქმეში.

4) გამოხატავს ეკლესიათა საერთო ინტერესს, მოემსახურონ ადამიანთა სხვადასხვა საჭიროებებს,მოაწესრიგონ კონფლიქტები და იღვაწონ ადამიანთა საერთო ოჯახის სამართლიანი და მშვიდობიანი განვითარებისათვის.[20]

1.4. მსოფლიო ქრისტიანული კონფერენციების დაარსება

მსოფლიოს პირველი ქრისტიანული კონფერენცია შედგა პრაღაში 1958 წლის 1-3 ივნისს, სადაც დაარსდა ეკუმენური ორგანიზაცია „ქრისტიანული მსოფლიო კონფერენცია“. ამოცანა იყო ქრისტიანთა გაერთიანება დედამიწაზე მშვიდობის დაცვისთვის. მასში მონაწილეობდა 9 სახელმწიფოს 45 წარმომადგენელი. კონფერენციის მონაწილეებმა ხმა აღიმაღლეს ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ. ასეთი გზით ქრისტიანული ორგანიზაცია ჩაერთო საერთაშორისო პოლიტიკაში.

მეორე მსოფლიო ქრისტიანული კონფერენცია გაიმართა პრაღაში 1959 წლის 16-18 აპრილს. მასში მონაწილეობდა 15 ქვეყნის 92 დელეგატი. კონფერენციაზე გადაწყდა 1960-1961 წლებში მოწვეულიყო ევროპის ერთ-ერთ ქალაქში „მშვიდობის მსოფლიო კონგრესი“.

მესამე ქრისტიანული კონფერენცია გაიმართა პრაღაში 1960 წლის სექტემბერში. მასში მონაწილობდა 62 ქვეყნის 200 დელეგატი. კონფერენციის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო პრაღაში 1961 წლის ივნისში პირველი სრულიად ქრისტიანთა კონგრესის მოწვევის გადაწყვეტილების მიღება. ამ კონგრესში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთის და

[20]არსენი (ვლიანკოფტი) მართლმადიდებელი მონაზვნობა და რელიგიური სინკრეტიზმი. http://martlmadidebloba.ge/sacdurebi17.html

დასავლეთის ეკლესიების 650 წარმომადგენელი. კონგრესმა თანამედროვე ქრისტიანობას დაუსახა: 1. ეკუმენიზმისა და 2. მშვიდობის დაცვის ამოცანა.

სრულიად ქრისტიანთა მეორე კონგრესი გაიმართა პრაღაში 1964 წლის 28 ივნისს-3 ივლისს. მასში მონაწილეობდა 750 დელეგატი. კონგრესმა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტიმიიღო: 1. მშვიდობის დაცვისათვის ყველა ქრისტიანისადმი მიმართვა; 2. ყველა სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი მიმართვა.

მესამე კონგრესი მოეწყო ისევ პრაღაში 1968 წლის 31 მარტს და გაგრძელდა 5 აპრილამდე. მასში მონაწილეობდა 55 ქვეყნის 500 დელეგატი. კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ ევროპის, ამერიკის, აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის ეკლესიები.

ამრიგად, 1958 წლის ივნისში შექმნილი ქრისტიანული მსოფლიო კონფერენცია წარმოადგენდა ყველაზე ახალგაზრდა ეკუმენურ გაერთიანებას, რომელსაც თავისი ნათლად გამოკვეთილი ამოცანა ჰქონდა დასახული - სამყაროში მშვიდობის დაცვა. თავისი არსებობის მანძილზე მან წამოიწყო სამი მსოფლიო საერთო ქრისტიანული კონგრესი. მისი ცენტრი მუდმივად იყო ქალაქი პრაღა და ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ღვთისმეტყველების დოქტორმა იოსებ გრომადკამ.[21]

1.5.ვატიკანის მეორე კრება რომში

XX საუკუნის კათოლოკირი ეკლესიის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო ვატიკანის მეორე საელესიო კრება. 1950 წლის 25 იანვარს, კვირას, რომის პაპმა იოანე XXIII-ემ ვატიკანის რადიო გადაცემაში განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში აპირებდა 21-ე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევას. პაპის ამ რადიო გამოსვლამ მსოფლიო საქრისტიანო ააღელვა, რამეთუ ის მიღებულ იქნა იმ მიზნით, რომ მსოფლიო საელესიო კრებაში მონაწილეობა მიეღოთ პროტესტანტებსაც და ამ გზით რომის ეკლესია შეერთებოდა ეკუმენურ მოძრაობას, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს.

[21]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 597

პაპის ამ სენსაციური განცხადებიდან პირველი თვეების მანძილზე, საერო და სასულიერო პრესის ფურცლებზე აქტიურად იხილებოდა პაპის განაცხადის ირგვლივ სხვადასხვა ფენის საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებანი; პრესაში გაჩნდა კითხვები - ვის მოიწვევდნენ ვატიკანის მსოფლიო კრებაში მონაწილეობისათვის? ევროპის საეკლესიო ხელისუფალთა წრეებში მუსირებდა აზრი, რომ ეკუმენური მოძრაობის ისტორიაში ახალი ფურცელი გაჩნდა, რომ ეს მოძრაობა ჭეშმარიტად ეკუმენურ ხასიათს იძენდა. მსოფლიოს ცალკეულმა ეკელსიებმა დაიწყეს ფიქრი, როგორი პოზიცია დაეკავებინათ ვატიკანის კრებაზე მიწვევის შემთხვევაში. საეკლესიო იერარქიები განსხვავებული შეხედულებების გამო სამ ნაწილად დაიყვნენ: ერთნი თანახმანი იყვნენ პაპის მიწვვეის შემთხვევაში მონაწილეობა მიეღოთ კრების მუშაობაში, მეორენი - მერყეობდნენ, მესამენი კი - კატეგორიულ უარს აცხადებდნენ კრებაში მონაწილეობაზე. მალე გახცადდა, რომ პაპი არ აპირებდა ეკუმენურ მოძრაობაში გაერთიანებას თავისი უპირატესი პოზიციების მიღების გარეშე. 1959 წლის 4 აპრილს პაპმა მასზე დაქვემდებარებულ უმაღლესი სკოლების რექტორებთან შეხვედრაზე მტკიცედ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ყველა სხვა ეკლესიის მრევლი კათოლიკური ეკლესიის წიაღში დაებრუნებინათ.[22]

1959 წლის 14 ივნისს პაპი შეხვდა ე.წ. „ბერძნული კოლეგიის „ პედაგოგებსა და სტუდენტებს; თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ მომავალი საეკლესიო კრება რა აპირებდა ქრისტიანთა ერთობის პრობლემებზე მსჯელობას და მხოლოდ განიხილავდა საკითხებს კათოლიკური ეკლესიის შემზადებაზე მსჯელობას ამ მეტად მნიშვნელოვანი და ფართო პრობლემის თავიდან აცილების მიზნით.

ვატიკანის მეორე საეკლესიო კრება გაიხსნა 1962 წლის 11 სექტემბერს. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 2540 სასულიერო პირმა სხვადასხვა ეკლესიებიდან. პირველად დასავლური ქრისტიანობის ისტორიაში, კრებაზე წარმოდგენილი იქნა არა მხოლოდ მწვალებლობათა შეფასების, არამედ სარწმუნოების მოდერნიზაციის მიზნითაც. კრებამ გადახედა სამოძღვრო მსახურების ზოგიერთ ძველ ფორმას და კათოლოციზმის

[22]ლ. ალექსიძე. ვატიკანის II კრება (1962 - 1965) , თბ., ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, 2006, გვ. 35

განმტკიცების პროპაგანდითი მუშაობის მეთოდებს. კრებამ შეიმუშავა ქრისტიანთა ერთობის საკითხის შემსწავლელი სპეციალური კომისია. 1970 წელს დაიწყო მოლაპარაკებები ვატიკანსა და მსოფლიო საეკლესიო საბჭოს შორის. მოლაპარაკებების ძირითადი საკითხი იყო კათოლიკური ეკლესიის შეერთება ეკუმენურ მოძრაობასთან.[23]

ვატიკანის მეორე კრების შედეგები ყველაზე მკაფიოდ აისახა იმ რეგიონებზე, სადაც კათოლიკენი კარგა ხნის მანძილზე სიახლოვის მოლოდინში ცხოვრობდნენ. კრებაზე მიღებულმა ლიტურგიკულმა კონსტიტუციამ აქტიურად მიიზიდა მრევლი ეკლესიისაკენ და ღვთისმსახურებაში მონაწილეობისაკენ. კრების უდიდესი მიღწევა იყო ეკელსიებში ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე ჩატარების კანონის მიღება. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო კრებაზე მიღებული დოკუმენტი „კონსტიტუცია ეკლესიაზე“ (Lumen gentium” – “სინათლე ხალხს“)(იხ.დანართი N6). კონსტიტუცია ამტკიცებს, რომ ეკლესია არის „ქრისტეს სხეული“, რომლის მისიაა იქადაგოს წმინდა წერილი, განანათლოს ერები და დაუახლოვოს ისინი უფალს.

ვატიკანის კრებამ საერთო ენთუზიაზმით დაასრულა მუშაობა იმ იმედით, რომ კათოლიკური ეკლესიისა და სრულიად საქრისტიანოს პრობლემებში გაერკვა და მათი დაძლევის მტკიცე გზებიც დასახა, მაგრამ 70-იანი წლების მიწურულს განვითარებულმა მოვლენებმა საწინააღმდეგო სურათი წარმოაჩინა ვატიკანისა და მისი ხელისუფლების წინაშე.[24]

1.6. ლოზანის კონფერენცია

1927 წლის 2-21 აგვისტოს ლოზანას კონფერენციაში - „რწმენა და საეკელსიო წყობა“ მონაწილეობდა 59 ქვეყნიდან (დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, მართლამდიდებელი აღმოსავლეთი, გერმანია, საფრანგეთი, საკანდინავია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.) 400-ზე მეტი დელეგატი სხვადასხვა

[23]ლ. ალექსიძე. ვატიკანის II კრება (1962 - 1965) , თბ., ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, 2006, გვ. 36

[24]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობისისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 598

ქრისტიანული ეკლესიებიდან, რომის კათოლიკური ეკლესიის, რუსეთისა და საქართველოს მართლამდიდებელი ეკლესიების გარდა.

ლოზანას კონფერენციის მიზანი იყო სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიებს შორის დოგმატური სიახლოვე - განსხვავების ხარისხში გარკვევა. კონფერენციის მიზანი არ ყოფილა განსხვავებული თვალსაზრისების შერიგება.[25]

ლოზანას კონფერენცია საინტერესო იყო არა იმდენად მონაწილეთა მრავალრიცხოვნობითა და სიჭრელით, კონფერენციაზე შემუშავებული დოკუმენტებით, რამდენადაც პირველი მცდელობა სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიების წევრთა ერთობის მიღწევით.

ლოზანას კონფერენცია ორი ძირითადი შედეგით განისაზღვრა:

1. პროტესტანტული რელიგიური ჯგუფების ერთმანეთთან დაახლოების მიღწევა;

2. პროტეატანტულმა საეკლესიო ორგანიზაციებმა უკან დაიხიეს ტრადიციისაკენ;

3. გამოიკვეთა კეთილმოსურნე დამოკიდებულება მართლმადიდებლობასა და ანგლიკანობის მარჯვენა ფრთას, მართლმადიდებლობისა და ძველ-კათოლიკობას შორის.

4. წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა აღმოსავლეთის მართლამდიდებელი ეკლესია, რუსეთის ეკლესია არ იყო წარმოდგენილი ოფიციალურად, მაგრამ სამი რუსი სამღვდელო კოოპტაციის წესით იყო მიღებული დელეგატად.

ლოზანას კონფერენცია მართლამდიდებლურ ეკლესიათა ურთიერთობების გაღრმავებისათვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. ეკლესიის წარმომადგენელთა კულუარულ შეხვედრებზე განიხილებოდა კონფერენციის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და მუშავდებოდა მოქმედების საერთო გეგმა; შეხვედრაზე იყო პოლემიკა იმ დადგენილებების ირგვლივ, რომლებიც მართლმადიდებლურ ქრისტიანობას არ ეწინააღმდეგებოდა. ბერძნები უარს აცხადებდნენ კონფერენციის ყველანაირი დადგენილების მიღებაზე. რუსები და ბულგარელები ემხრობოდნენ მხოლოდ იმ დადგენილებებს, რომლებიც ეთანხმებოდა მართლამდიდებლური ეკლესიის

[25]გ. ფერაძე. მსოფლიოკონფერენციალოზანაში "რწმენისადასაეკლესიოწყობისათვის"https://matiane.wordpress.com/2009/08/25/peradze-lausanne-conference/

მოძღვრებას. მიუხედავად განსხვავებული დამოკიდებულებისა, კონფერენციაზე მართლადიდებელ ეკლესიათა ჯგუფი ერთიან, ორგანიზებულ მთლიანობაში გამოდიოდა. ყოველივე ჰგავდა იმ მოსამზადებელ შეხვედრას, რომელსაც სრულიად მართლმადიდებლური ეკლესიის საერთო კრება უნდა გაემართა.[26]

1.7. „ტორონტოს დეკლარაცია“

1950 წელს ქალაქ ტორონტოში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც ქრისტიანობის ისტორიაში ცნობილია „ტორონტოს დეკლარაციის“ სახელით. დეკლარაცია ოთხი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, ახლად შემუშავებული ფორმულირება, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და მისი პრინციპების განსაზღვრება, რომელთაც ეფუძნება ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (იხ.დანართი N7). დეკლარაციაში წარმოდგენილი ნაწილების მიზანია ახსნას საბჭოს ფუნქცია - მოვალეობები და მის ირგვლივ საზოგადოებაში დამკვიდრებული ეჭვი გააბათილოს, საწინააღმდეგო აზრი გაანადგუროს და საბჭოს ავტორიტეტი აამაღლოს.

როგორც აღინიშნა, ამსტერდამის პირველმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ‘საბჭოს უფლებამოსილების შესახებ“, სადაც გაცხადებულია: „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო შეიქმნა ეკლესიებისაგან, რომლებიც აღიარებენ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთს და მაცხოვარს. მათ ეს ერთობა ქრისტეში იპოვეს. ერთობა - ღვთის ნიჭია და არა ადამიანთა ძალისხმევის შედეგი. ეკლესიებმა იციან, რომ მათი ვალია ცხონებასა და მუშაობაში ამ ერთობის გამოხატვის ძიება. საბჭოს სურვილია ემსახუროს თავის წევრ ეკლესიებს, როგორც ინსტრუმენტი, რომლის წყალობითაც ისინი შეძლებენ იესო ქრისტესადმი მათი საერთო ერთგულების დამოწმებას და, ასევე, თანამშრომლობას იმ საქმეებში, რომლებიც ერთობლივ ქმედებას მოითხოვენ. ამავე დროს საბჭო შორსაა იმ აზრისაგან, რომ წევრ ეკლესიათა კუთვნილი ფუნქციები მიიტაცოს, ან აკონტროლოს ისნი

[26]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 599

და კანონები გამოსცეს მათთვის. საბჭოს ამგვარ უფლებებს კონსტიტუციაც არ აძლევს. თავისი წევრების აზრებსა და ქმედებებში კავშირების ძიების მიუხედავად, საბჭო უარყოფს ყოველგვარ აზრს, იქცეს განსაკუთრებულ საეკლესიო ერთობად, რომელიც დამოკიდებულებაშია წევრ ეკლესიებთან და ცენტრალური აპარატით იმართება.

საბჭოს მიზანია, ერთობა სხვა გზით გამოხატოს. ერთობა ქრისტესმიერი საღვთო სიყვარულიდან ამოიზრდება. ეს სიყვარული ეკლესიებს აკავშირებს ქრისტესთან და ამგვარად ერთმანეთთან. ქრისტეს სიყვარულით შეკავშირებულნი, ისინი ერთმანეთისთვის ილოცებენ და მხარს დაუჭერენ ერთმანეთს ღვთისმსახურებაში. ეკლესიები დაეხმარებიან ერთამენთს ტვირთვის ზიდვაში და ასე აღასრულებენ ქრისტეს კანონს".

„ტორონტოს დეკლარაცია" ცხადჰყოფს, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ შეიმუშავა იმგვარი ახალი მიდგომა ეკლესიათა შორის ურთიერთობის სფეროში, რომელსაც ქრისტიანობის ისტორიაში სხვა პრეცენდენტი არ მოეძებნება.

დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არ იყო ზე-ეკლესია, მსოფლიო ეკლესია; არ იყო „Una Sancta" („ერთი წმინდა"), რაზეც საუბარია სარწმუნოების სიმბოლოში (მრწამსში). რადგან ამ საკითხის ირგვლივ მუდმივი გაუგებრობა იყო, საბჭო იძულებული გახდა პერიოდულად საბჭოს საგანგებო ოფიციალური განცხადებით უერჰყო ზემოაღნიშნული. დეკლარაციის ამავე ნაწილში დაკონკრეტებული იყო, რომ საბჭოს წევრობა არ ნიშნავდა იმას, რომ ეკლესიები იმ ორგანოში არიან გაერთიანებულნი, რომელთაც მათ გარეშე შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება და, რომ თითოეული ეკლესია ინარჩუნებდა უფლებას მიეღოთ, ან უკუეგდოთ საბჭოს მოქმედება და გადაწყვეტილება.[27]

დეკლარაციის იმ ნაწილში, სადაც ახსნილია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს რაობა, აღნიშნულია, რომ „საბჭოს მიზანი არ იყო მოლაპარაკებების წარმოება ეკლესიათშორის კავშირზე, არამედ მისი მიზანია ეკლესიათშორის ცხოველი კავშირების დამყარების, საეკლესიო ერთობის საკითხთა შესწავლისა და მასზე მსჯელობის

[27]ი. არაბიძე. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2013, [ტ.] 2, გვ. 293

ხელშეწყობა. ამავდროულად, საბჭო არ ემყარება ეკლესიის შესახებ ერთ, განსაზღვრულ კონცეფციას და ეკლესიოლოგიურ პრობლემებზე მზა პასუხი არ მოეპოვება. დეკლარაცია ხაზგასმით მიუთითებს, რომ საბჭოში ადგილი მოეძებნებოდა ყველა იმ ეკლესიის ეკლესიოლოგიას, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა ეკუმენურ მოძრაობაში; საბჭოს მიზანია სხვადასხვა ეკლესიებმა დაინახონ თავიანთი განსხვავებული პრინციპები და სრულიად არ არიან ვალდებულნი საბჭოს წევრობის გამო შეცვალონ საკუთარი ეკლესიოლოგია".

დეკალრაციაში დაფიქსირებულია, რომ ეკუმენური მოძრაობა იზიარებს ყველა ქრისტიანულ დოქტრინას და საეკლესიო კონცეფციის თანასწორობის მომხრეა და არ განიხილავს მათი ჭეშმარიტების საკითხს. საბჭოს მიზანია ყველა ქრისტიანული კონცეფციის ერთმანეთთან დინამიურ ურთიერთობაში მოყვანა.

განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია დეკლარაციის ის ნაწილი, სადაც განხილულია ის პრინციპი, რომელთაც ეფუძვნება ეკლესიათა მსოფლიო საბჭო. ამ ნაწილში დაფიქსირებულია, რომ საბჭოს წევრ ეკლესიებს მიაჩნიათ, რომ „მოლაპარაკება - თანამშრომლობა ეკლესიებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საერთო აღიარებას, რომ ქრისტე მისტიური სხეულის თავია". „დეკლარაციაში" მტკიცედ არის გამოხატული, რომ საბჭოში მიიღებიან ეკლესიები განურჩევლად იმისა, აღიარებენ, თუ უარჰყოფენ სხვა ეკლესიების ჭეშმარიტებულობას.[28]

„დეკლარაციაში" აღნიშნულია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ წევრმა ეკლესიებმა ერთმანეთს სოლიდარობა უნდა გამოუცხადონ და თავი შეიკავონ ისეთი ქმედებისაგან, რომლებიც ძმური ურთიერთობისთვის მიუღებელია.

„დეკლარაცია" ასაბუთებს, რომ ეკლესიების ურთიერთდახმარება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთ აზრებსა და გამოცდილების გაცვლის გზით; და, რომ სწორედ ამაში მდგომარეობდა მსოფლიო საბჭოს კვლევითი და სხვა შემოქმედებითი სამუშაოს მნიშვნელობა.

---

[28]ი. არაბიძე. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი // ახალი და უახლესიისტორიის საკითხები, თბ., 2013. - [ტ.]

ამრიგად, „დეკლარაციის“ მიზანია მსოფლიოს ეკლესიები გაარკვიოს საბჭოს ჰუმანურ მიზნებში, მიიზიდოს ისინი ეკუმენურ მოძრაობაში ჩართვისათვის. „დეკლარაცია“ ცდილობს აუხსნას საეკლესიო ხელისუფალთ, რომ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში რეალიზებული პრინციპები არ ეწინააღმდეგება მასში შემავალ ეკლესიათა სწავლებებს; წევრი ეკლესიები თავისუფალნი რჩებიან თავის ქმედებებში ეკუმენური კონტაქტების დროს.[29]

ამრიგად, ეკუმენური მოძრაობა, რომელიც ჩაისახა XIX საუკუნის შუა ხანებში პროტესტანტული ქრისტიანობის წიაღში, გადაიქცა საერთო გლობალიზაციური პროცესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ელემენტად და მძლავრ იარაღად „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების საქმეში. იგი ოფიციალურად გაფორმდა 1910 წელს ედინბურგში (შოტლანდია) მისიონერთა მსოფლიო კონფერენციაზე, რომელსაც 1921 წელს „მისიონერთა საერთაშორისო საბჭო“ ეწოდა. მან იდეალად გამოაცხადა ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანება დოგმატური და კანონიკური განსხვავებების ხელშეუხებლად, რაც ნიშნავს ქრისტიანული კონფესიების თანაარსებობას საერთო პრინციპებისა თუ თეორიული წანამძღვარების საფუძველზე. ეს მოძრობა თანდათან გაფართოვდა და გაძლიერდა, შეიძინა მომხრეები პროტესტანტული სამყაროს გარეთაც. 1948 წელს ამსტერდამში შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო - ეკლესიების მსოფლიო საბჭო, რომლის უმაღლესი ორგანო იყო ასამბლეა.

[29]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 601

თავი II

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობა და ეკუმენიზმი XX საუკუნის მეორე ნახევარში

2.1.მისიონერული მოღვაწეობა

ეკუმენურიმოღვაწეობის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას ერთიანი ეკლესიის პროპაგანდის საქმიანობა წარმოადგენს. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ მიმართულებით მუშაობა გააძლიერა როგორც პროტენტასტულმა, ისე კათოლიკურმა ეკლესიამ. ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ცდილობდა კონკურენცია გაეწია პროტესტანტიზმის აქტიური პროპაგანდისთვის. კათოლიკურმა ეკლესიამ მისიონერული საქმიანობა ძირითადად ორი მიმართულებით, ორ კონტინენტზე - აფრიკასა და ლათინურ ამერიკაზე წარმართა.

კათოლიკური მისიები მომძლავრდა და განსაკუთრებით გამრავლდა აფრიკის ტერიტორიაზე: მიმდინარეობდა ადგილობრივი ეკლესიების ფორმირების აქტიური პროცესი. თუ 1950 წელს მხოლოდ ორი აფრიკელი ეპისკოპოსი იყო, 60-იანი წლების დასაწყისში მათი რიცხვი 22-მდე გაიზარდა, ხოლო 1972 წლისათვის აფრიკას ჰყავდა ადგილობრივი ეთნოსის 237 ეპისკოპოსი და 12 კარდინალი. აფრიკის სასულიერო კრებული მონაწილეობას იღებდა როგორც სამისიონერო საქმიანობაში, ისე უმწეოთა დახმარებაში. აფრიკელი მისიონერები უდიდეს როლს ასრულებდნენ კონტინენტზე მშვიდობის დამყარების საქმეში. აფრიკის მრავალრიცხოვანი ტომთაშორისი

დაპირისპირება კონტინენტის პოლიტიკურ სტაბილურობას აბრკოლებდა: ქრისტიანობის მქადაგებლები ადგილობრივი ტომების რწმენაში განმტკიცებით ცდილობდნენ მათ შორის სიმშვიდის მიღწევას. ამ საქმეს არა ერთი მისი წევრი ემსხვერპლა, რომლებიც კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.[30]

ლათინურ ამერიკაში ვითარება გაცილებით მძიმე იყო: უსაზღვრო ფუფუნების გვერდით სასტიკად გაუსაძლისი სიღატაკე სუფევდა. ლათუნური ამერიკა ეკონომიკურად დამოკიდებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებსა დაევროპაზე. მხარეში ავტორიტარული რეჟიმი მეფობდა, რომელიც რეგიონში წესრიგის დამყარებისთვის იყო მოწოდებული. ასეთი ვითარება ფეთქებად საშიშროებას ჰქმნიდა ლათინურ ამერიკაში. ქრისტიანი, მრევლის ერთმა ნაწილმა შეიარაღებული რევოლუციური ფორმის გზა აირჩია, მეორემ - მხარი დაუჭირა ე.წ. „ღვთისმეტყველების განთავისუფლებას“. ევროპის უნივერსიტეტებში შემუშავებული სწავლება გახდა ლათინო ამერიკული ქრისტიანობის მისწრაფებათა გამომხატველი. ამ „ღვთისმეტყველების“ მიზნები კეთილგონივრული იყო. მაგრამ ხშირ შემთხვევაში მისი ადეპტები კრიტიკის გარეშე ითვისებდნენ მარქსისტულ ანალიზსა და მეთოდოლოგიას, რომელიც არა მხოლოდ ამღვრევდა ქრისტიანულ სწავლებას, არამედ უდიდესი ვნება მოჰქონდა თავად „განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის“.

იმდროს, როდესაც კათოლიკე ინტელექტუალები ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ ოპოზიციაში, ლათინურ ამრიკაში მრავლდება პროტესტანტული სექტები, რომლებიც აქტიურად ქადაგებენ ევანგელიეს, რაც ერთობ მომგებიანი აღმოჩნდა მსხვილი უცხოური ფირმებისთვის. ასეთ შემთხვევაში, კათოლიკურ ეკლესიაში დაიწყო გამოცოცხლების პროცესი. კათოლიკე მღვდლების ძალისხმევით დაარსდა საბაზო თემები, რომლებმაც ლათინური ამერიკის ქრისტიან მოსახლეობაში ფართო კათოლიკური პროპაგანდა გაშალეს.[31]

1968 წელს რომის პაპმა პავლე VI-ემ ქალაქ მედელინში გახსნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 155 ეპისკოპოსი და 137 მღვდელი, მონაზონი და

[30]ე. ბუჯიაშვლი. მისიონერები // ჩვენი მწერლობა. - თბილისი, 2014. 11 ივლისი. - N14(22). - გვ.45
[31]ე. ბუჯიაშვლი. მისიონერები // ჩვენი მწერლობა. - თბილისი, 2014. 11 ივლისი. - N14(22). - გვ.46

საერონი. კონფერენციის მონაწილეებმა დაგმეს ძალადობა როგორც რევოლუციონერების, ისე ხელისუფლების მხრიდან. მათ საზოგადოებას ამცნეს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ უფლის შემწეობით. კონფერენციამ მაშინვე ვერ გამოიღო შედეგები, მაგრამ თანდათანობით ლათუნურ ამერიკაში დაიწყო მარქსისტული იდეოლოგიის დამცრობის პროცესი და ქრისტიანული რწმენის გაძლიერება.[32]

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპელ მოაზროვნეთა შემოქმედებაში ღვთისმეტყველებამ ახალი მძლავრი აღმავლობა დაიწყო. მათ ნაშრომებში აშკარად გამოიკვეთა ვატიკანის მეორე საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა გონივრული გააზრების მცდელობანი. ამ მოაზროვნეთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ჰანსურს ფონ ბალთაზარს. ფონ ბალთაზარი იყო დე ლიუბაკის მოწაფე. ის მიიჩნევდა, რომ ღმერთთან მიახლოების ერთ-ერთი გზა იყო სილამაზისა და დიდების აღქმის მაღალი უნარი - „უნარიანია გაიგოს მხოლოდ მან, ვისაც შეუძლია გაოგნება“ - აღნიშნავდა ფონ ბალთაზარი. ასეთი აზროვნებით ის ბიზანტიური ტრადიციის მემკვიდრე გახდა. მისი უდიდესი დამსახურება იყო ის, რომ მან დასავლეთს გააცნო რუსი ეკლესიოლოგის ვლადიმერ სოლოვიოვის შემოქმედება.

კომუნისტური რეჟიმის პერიოდში რუსი ინტელიგენციისა და მართლმადიდებლური ეკლესიის დევნის შედეგად ემიგრაციაში აღმოჩნდნენ ცნობილი რუსი რელიგიის ფილოსოფოსები. ისინი მიმოიფანტნენ პრაღაში, ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში. მათ შორის სახელგანთქმული მოაზროვნენი: ბერდიაევი, ბულგაკოვი, ფრანკი და ლოსკიცი ყვნენ. საზღვარგარეთ რუსული კულტურის მთავარი ცენტრი იყო პარიზი, სადაც გამოდიოდა უამრავი პერიოდული გამოცემა და სამეცნიერო ლიტერატურა. პარიზში საფუძველი ჩაეყარა ევროპული კათოლიციზმისა და რუსული მართლმადიდებლობის ცხოველ კავშირს.

[32]კოხი, კურტ (მთავარეპისკოპოსი). მეგობრობა, სიყვარული და ჭეშმარიტება - ეკუმენური დიალოგის საყრდენი : ამონარიდები "Osservatore Romano"-ში (15/09/2010) გამოქვეყნებული ინტერვიუდან // საბა : საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე. - თბილისი, 2010. - ოქტომბერი. - N10. - გვ.14

ევროპაში რუსული მართმადიდებლური წყაროების გამოქვეყნებამ სისტემატიური ხასიათი შეიძინა. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღის დომინიკანელი ბერების ჯგუფს სახელწოდებით - „ჭეშმარიტება“ (პარიზი). ბენედიქტელ ბერებს ბელგიაში, აღმოსავლური ქრისტიანობის ცენტრს - ბრიუსელს, კოლეგიუმს - „რუსიკუმს“ (რომი) და „ქრისტიანულ რუსეთს“.

ერთიანობისაკენ ლტოლვის ტენდენციები შეინიშნებოდა ინსტიტუციონალურ დონეზეც: დაიწყო ურთიერთობის აღდგენა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ათენაგორასა და რომის პაპს პავლე VI-ს შორის. 1965 წლის 7 დეკემბერს რომმა და კონსტანტინოპოლმა ერთდროულად გამოაქვეყნეს განცხადება 1054 წლის მოვლენის დავიწყებისა და ეკლესიათა შორის თანამშრომლობის და მეგობრობის აღდგენაზე.[33]

2.2. იდეოლოგიის კრახი და „რელიგიური გამოცოცხლება“

ი. სტალინი შეცვალა ხრუშჩოვმა. თავის მმართველობის პირველ წლებში ხრუშჩოვმა გაათავისუფლა პოლიტპატიმრები და ცენზურა მოუხსნა გამომცემლობებს. მოგვიანებით, მან შეცვალა პოლიტიკა და დაიწყო რელიგიის მასიური დევნის პროცესი. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი მასშტაბით უმკაცრესად იდევნებოდა როგორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური ეკლესია. საისტორიო წყაროების თანახმად, სტალინის მიერ 20 000 ამოქმედებული ეკლსიიდან (მეორე მსოფლიო ომის წლებში), ხრუშჩოვის მმართველობის წლებში მხოლოდ 6 000 დარჩა. თითოეული ტაძრის სათავეში იდგა ე.წ. „დემოკრატიული“ პოლიტიკით დანიშნული საერო პირი. საბჭოურ ტერორს გადარჩენილი სამღვდელოება და საზოგადოების პროგრესული ნაწილი რეჟიმისადმი წინააღმდეგობას იატაკქვეშა მოძრაობით აგრძელებდა. ეს მოძრაობა გამოიხატებოდა ე.წ. „სამიზდატით“ (Самиздат), ანუ იატაკქვეშეთში ლიტერატურის გამოცემით. აღნიშნულმა ლიტერატურამ დასავლეთში შეაღწია, სადაც მას ეჭვით ეცნობოდა პროგრესული მემარცხენე ნაწილი და მათში იწვევდა ენთუზიაზმს. ახალი ყაიდის ჰუმანისტური იდეები არა ჯანყისაკენ მოუწოდებდა, არამედ პასუხისმგებლობისაკენ,

[33]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 603

საზოგადოებას უჩვენებდა გზას განახლებისაკენ, აკრიტიკებდა იდეოლოგიის იარაღად გამოყენების პოლიტიკურ კურსს, უარჰყოფდა ძალადობას, არა მხოლოდ მავნე, არამედ არა ეფექტურ მოქმედებას. ეს ახალი კულტურა, რომელიც აღადგენდა, განაახლებდა, განწმენდდა - რუსული კულტურის ახალი მონაპოვარი იყო. თავისი არსით ეს იყო ქრისტიანული კულტურა, რომელმაც შეაღწია საზოგადოების ყველა ფენაში და მოიცვა მთლიანად მისი მოაზროვნე ნაწილი. ეს განსხვავებული კულტურა ძირეულად ცვლიდა მანამდე არსებულ ოფიციალურ კულტურას და ძველ რეჟიმს, რომელსაც „ხავერდოვანი რევოლუციით“ შევცლისათვის ამზადებდა.

კომუნისტური იდეოლოგიის კრახმა ძირეულად შეარყია უტოპიური ათეიზმი. ადამიანმა დაიწყო თავისი საზღვრებისა და შესაძლებლობების გააზრება და სამყაროს რიგი საკითხის მეცნიერული გაანალიზების შეუძლებლობა გააცნობიერა. მან სამყაროს საიდუმლოებების შემეცნება მეორე მხრიდან - ქრისტიანული იდეოლოგიიდან დაიწყო. კაცობრიობის რელიგიურმა გრძნობებმა ახალი სიო შეიგრძნო და ათეიზმმა აღმოსავლეთსა და დასავლეთში პრიორიტეტული მდგომარეობა დაჰკარგა. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ რელიგიის გააზრების პროცესი საზოგადოებაში ყოველთვის ჯანსაღად არ მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაშიც, ათეიზმის იდეოლოგიისაგან განთავისუფლებული საზოგადოება რევოლუციური უტოპიიდან გადავიდა პირადი გრძნობების განცდათა სამყაროში. საზოგადოებამ მიიღო იმედგაცრუება და ის ყველაფრისადმი ინდეფერენტულმა დამოკიდებულებამ მოიცვა. მართალია ამ საზოგადოებამ არ უარყო რწმენა და ეკლესია, მაგრამ არც მას მიეკედლა. მასთან გაუცხოებულ მდგომარეობაში დარჩა. შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ საზოგადოებამ მარქსისტული კოლექტივიზმიდან ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმში გადაინაცვლა. ძველი იდეოლოგიისაგან გათავისუფლებული საზოგადოება სიცარიელემ მოიცვა და ის პასიურ მდგომარეობაში დარჩა.

სასულიერო კრებულის ღრმა რწმენით საზოგადოების ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამოყვანისა და ეკლესიისაკენ მრევლის მიზიდვისათვის საჭირო გახდა სერიოზული ცვლილებების შეტანა თავად ეკლესიის წიაღში აღნიშნულის გამო, აღმოცენდა ახალი მოძრაობა, რომელიც ახალ პასუხს იძლეოდა ადამიანის სულიერ

მოთხოვნილებებზე. ერთ-ერთ ასეთ მოძრაობას წარმოადგენდა „ქარიზმატიკული განახლება“, რომელიც პროტესტანტული მოძრაობის ანალოგი იყო.

„ქარიზმატიკული განახლების“ მოძრაობა აღმოცენდა ამერიკაში 1966 წელს და მთელი მსოფიოს მასშტაბით დაიწყო გავრცელება. მოძრაობის ძირითადი საქმიანობა იყო საზოგადოების რწმენისაკენ შემობრუნება და საამისოდ მასიური ლოცვების ჩატრება. აღნიშნულმა ჩამოაყალიბა. ე.წ. ქრისტიანული თემები, რომელთა ფუნქცია იყო გულმოწყალება და პრაქტიკული მისიონერობა, მოძრაობა მსოფლიოს რიგმა ეკლესიამ მიიღო და მას სერიოზული მატერიალური და იდეოლოგიური დახმარებაც აღმოუჩინა.[34]

XX საუკუნის მიწურულს ახალი მოძრაობა „ფოკოლარინა“ - აღმოცენდა ტრენტოში 1943 წელს კლიარლიუ ბიჩის ძალისხმევით. თანამედროვე ეტაპზე ფოკოლარინელები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოღვაწეობენ და ქარიზმის მეშვეობით ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას. ისინი ცდილობენ საზოგადოებაში დანერგონ აზრი, რომ ქრისტე მათ შორის არის, მათ აძლევს ძალას და უნარს იმისათვის, რომ რომ შეცვალონ თავიანთი სოციალური ცხოვრება ეკუმენური ურთიერთობის მეშვეობით.

1949 წელს მაიორკაში (ესპანეთი) წარმოიშვა რელიგიური მოძრაობა „კურილიოს კრისტიანიდადი“. მოძრაობის წევრები სამი დღის მანძილზე ერთობლივ ლოცვას ატარებენ. ასეთ შეხვედრებზე იქმნება ახალ-ახალი ჯგუფები, რომლებიც სხვადსხვა ფენებში აგრძელებენ მუშაობას. ასეთი სახის მოღვაწეობამ მოძრაობა მთელი მსოფლიოს მასშატაბით განავრცო და დიდი პოპულარობაც მოუტანა. „ახალ გამოცხადებულები“ ამტკიცენებ, რომ მათი საზოგადოება ითხოვდა ახალ ევანგელიზაციას: საჭიროდ მიაჩნიათ ადამიანების ახლადმოქცევა.

რელიგიური მოძრაობა „კომუნიონ ედალიბერაციონე“ XX საუკუნის 60-იან წლებში ლუიჯი ჯუსანემ დაარსა. თანამედროვე ეტაპზე ეს მოძრაობა 40-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. მოძრაობის მთავარი მიზანია თემის ყველა წევრზე ინდივიდუალური პედაგოგიური მუშაობის ჩატარება; მისი წევრებისათვის ცხოვრების ყველა სფეროში დახმარების აღმოჩენა.

[34]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 605

ამრიგად, XX საუკუნის ყველა ზემოაღნიშნული და კიდევ სხვა მრავალი პატარ-პატარა რელიგიური მოძრაობები (კათოლიკური სახის) ემსახურებოდნენ სარწმნოებისაკენ საზოგადოების შემობრუნებას და ამ საქმეს ეწეოდნენ მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეჭრით და მათში აქტიური ღვაწლის შეტანით.

XX საუკუნის მიწურულს კათოლიკური მოძრაობის არაერთი წარმომადგენელი იღწვოდა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის მისიონერულ ფრონტზე. მათ შორის განსაკუთრებული აღიარებით სარგებლობდა დედა ტერეზა კალკუტელი. ის დაიბადა ალბანეთში 1910 წელს. დედა ტერეზა იყო კათოლიკური მისონერული კონგრგაციის წევრი, საიდანაც ის პედაგოგად მიავლინეს კალკუტის (ინდოეთი) ერთ-ერთ სკოლაში. მას გაუსაძლისი სიდუხჭირე დახვდა ინდოეთში და 1948 წლიდან კონგრეგაციისაგან თანხმობის შემდეგ დაიწყო ღატაკთა წრეში ცხოვრება.

დედა ტერეზამ გარს შემოიკრიბა გულმოწყალე დედების ჯგუფი, რომელთაც ასწავლიდა მკაცრი ასკეტური ცხოვრების წესს, ღვთისადმი გულმხურვალე ლოცვებს. 1980 წლისათვის დედების რიცხმა 1000-ს მიაღწია. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს მოეფინნენ. განსაკუთრებული მისიონერული და ჰუმანური მოღვაწეობის გამო დედა ტერეზა ნობელის პრემიით დაჯილდოვდა. დედა ტერეზა გარდაიცვალა 1997 წლის 5 სექტემბერს. მას სხვადასხვა ეთნოსის მიმდევარი მისიონერი გამოუჩნდა. მათ შორის ცნობილი გახდა კანადელი ჟანვანიე, რომელმაც 1954 წელს დაარსა გონება შეზღუდულთა სახლი, სადაც ისინი ოჯახურ გარემოში ცხოვრობდნენ. დღეისათვის მსოფლიოში ასეთი სახის 100-ზე მეტი სახლი მოქმედებს. მისიონერმა დონ პიტრო ჯელმინიმ დაარსა ნარკომანიის სამკურნალო ცენტრი, სადაც ავადმყოფებს მკურნალობენ თვითშეგნებისა და ღვთის სიყვარულზე დაყრდნობით. იტალიაში ასეთი სახის ე.წ. სამკურნალო - კათოლიკური თემები 150-მდე მოქმედებს. სხვა ქვეყნებში 50-მდე. ევროპაში ასევე გაჩნდა ე.წ. „დროებითი ჭვრეტითი ცხოვრების“ კათოლიკური თემები.[35]

[35]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 606

რომის პაპი იოანე-პავლე II (1978-2007) - კათოლიკური ეკელსიისა და პაპობის ისტორიაში პირველად ავიდა პაპის ტახტზე ეთნიკურად სლავი სასულიერო პირი. კარდინალი კრაკოვიში დაიბადა ღარიბ ოჯახში. ის იყო მუშა და სტუდენტი. მან პირველმა რომში თამამად განაცხადა, რომ ადამიანისა და საზოგადოების გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ უფალთან მიახლებით. მისი პირველი ენციკლიკე „Redemptoz hominis" („კაცობრიობის მხსნელი") ამტკიცებს საზოგადოებაში რწმენას და ყველას მოუწოდებს ქრისტესაკენ. პაპი ხშირად მოგზაურობდა სხვადსხვა ქვეყანაში და საზოგადოებას სიმშვიდისა და პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდებდა.

იოანე - პავლე II-ის გზავნილებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ენციკლიკები და ეპისტოლეებია:

1) "Veritatis splendor" – „ჭეშმარიტების ბრწყინვალება"

2) "Orientale lumen" – „სინათლე აღმოსავლეთიდან"

3) „Ne evacnetur Grux" – „ჯვარი გაუქმდება"

4) Ut unum sint" - დაე ერთობა იყოს"

და სხვა მრავალი.[36]

ამრიგად, მას შემდეგ, რაც სოციალისტური ბანაკი დაიშალა და კომუნისტურ-ათეისტურ იდეოლოგიამ კრახი განიცადა, ძველი იდეოლოგიისაგან გათავისუფლებული საზოგადოება სიცარიელემ მოიცვა. საზოგადოების აღნიშნული მდგომარეობიდან გამოყვანისა და ეკლესიისაკენ მრევლის მიზიდვისათვის საჭირო გახდა სერიოზული ცვლილებების შეტანა თავად ეკლესიის წიაღში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სამოღვაწეო ასპარეზი რამდენადმე შეიცვალა.

[36]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი", 2010, გვ. 606

თავი III

ეკუმენიზმი, ეკუმენური მოძრაობა და საქართველოს სამოციქულო მართლამდიდებელი ავტოკეფალური ეკლესია

საქართველოს სამოციქულო მართლამდიდებელი ავტოკეფალური ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია დაარსებულია წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია თავისი არსებობის პირველი დღიდან მართლმადიდებელია და მართლმადიდებლობისათვის მედგარი მებრძოლი. წმიდა

მეფის დავით აღმაშენებლის დროს მოწვეულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა ჩვენი ეკლესიის ცხოვრება, აღნიშნა: „ამისთვის შემოკრბა კრებაჲ ... გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მარლთმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ...“[37]

მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიებიდან პირველი ეკუმენურ მოძრაობას გამოეხმაურა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო (1920წ.). 1952 წელს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიაც გამიეხმაურა მოწოდებას ეკლესიისადმი მშვიდობის შენარჩუნებისათვის მუშაობის გააქტიურებაზე.

პირველად საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ III-ის დროს საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლის შედეგად გაერთიანდა ეკუმენურ მოძრაობაში. იმ ეტაპზე, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობა ეკლესიოლოგიურ ხასიათს ატარებდა და მისი მიზანი გარეგნულად მხოლოდ სხვადსხვა კონფესიებს შორის დიალოგი იყო. საქართველოს ეკლესიის ეკუმენურ მოძრაობაში ჩაბმის მთავარი მოტივი იყო საბჭოთა იმპერიაში იძულებითი წესით მყოფი საქართველოს და მისი ეკლესიის თავისთავადობის შეხსენება მსოფლიოს ქვეყნებისა და ქრისტიანული ეკლესიებისათვის. ამავდროულად, საქართველოს ეკლესიას გადასაჭრელი ჰქონდა მსოფლიო ეკლესიებისგან ავტოკეფალიის აღიარების ფაქტორი. მსოფლიო ეკლესიებთან კეთილმეგობრული კონტაქტები საუკუნოვანი ნანატრი მიზნის აღსრულების შესანიშნავი საშუალება იყო.[38]

ეკუმენური მოძრაობის სათავეებთან ერთადერთი ქართველი სამღვდელო პირი, წმინდა გრიგოლ ივერიელი (ფერაძე) დგას, რომელსაც უპირობოდ სწამდა მართლმადიდებლური გაგებით ეკუმენური მოძრაობისა. ევროპაში მოღვაწე მეცნიერმა, სასულიერო პირმა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა მონაწილეობა მიიღო ლოზანის კონფერენციაში (1927წ.) და სიტყვით გამოსვლაში ნათლად გადმოსცა

[37]ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ნაწილი I, თბ., „გუმბათი“, 2012, გვ. 34
[38]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 607

მართლამდიდებლური პოზიცია და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეკუმენური მოძრაობის მოსალოდნელი სასიკეთო შედეგები: „ჩემი თანამემამულეები ძალიან მტკივნეულად განიცდიან, როდესაც სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები ჩვენს ეკლესიას სამისიონერო ველად სახავენ ჩვენს ძალებს, რომლებსაც სხვა მიზნებისათვის გვახარჯვინებენ. თუკი ვინმეს ჰგონია, რომ ავადა ვართ, მაცხოვრის ბრძანებისამებრ, ავადმყოფს გამოჯანმრთელებაში დახმარება სჭირდება... მიმაჩნია, რომ ღია მისიაში გარკვეული სიცხადე უნდა იქნას შეტანილი, რათა განხეთქილება კიდევ უფრო არ გაიზარდოს... უფლის ბრძანებაა, ღმერთს სიყვარულით შევხვდეთ და ბოროტს სიკეთით ვძლიოთ. შესაძლებელია, ამ მოვალეობის აღსრულების გზაზე დასავლეთის ეკლესიებმა იმდენი ვერ გააკეთეს, რამდენიც ჩვენ შევძელით... თუმცა, რა საკვირველია, ამერიკელების პიონერულ მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ სამუშაოში ჩვენი ძალებიც უნდა იქნას გამოყენებული და ჩვენც უნდა დაგვიხმარონ, რათა ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ და საკუთარი მისია ჩამოვაყალიბოთ... მე არ მჯერა, რომ ჩემი ხალხი ახლა ან მოგვიანებით რაიმე დოგამტური გაერთიანების თანახმა იქნება. ჩვენთან ეკლესია ხალხის სულია. იგი ყოველთვის მხარდამხარ მიუძღვებოდა ჩვენს ხალხს. ტანჯვასა და მწუხარებაში მან დაიცვა და გადაარჩინა იგი. ეკლესია ხალხს არსებობის იმედს და რწმენას უნერგავდა და ყველაფერი, რასაც ეკლესია ფლობს და რაც შეიძლება სხვას მცირედ ეჩვენებოდეს, არის ხალხისთვის - ტრადიციით და აღმსარებელთა სისხლით განწმენდილი... ათი წელია, ჩვენს ეკლესიას არა აქვს სემინარია მღვდელმონაზონთა მოსამზადებლად და მას სჭირდება განათლებული სასულიერო პირები ხალხის სულის გასაწმენდად. ჩვენი ეკლესია ნაკლებადაა ცნობილი და ჩვენ გვჭირდება მეგობრები ყველა აღმსარებელთა შორის...“ წმინდა გრიგოლის ეს სიტყვები ნათელი დასტურია იმ მიზეზ-მიზნებისა, რისთვისაც საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია გაერთიანდა ეკუმენურ მოძრაობაში.[39]

საქართველოს მართლადიდებლური სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი 1962 წელს გახდა. საქართველოს კათოლიკოს-

[39]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 608

პატრიარქი ილია II-ე ამ მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა. 1979 წელს 1-13 იანვარს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი იყო.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუმენურ მოძრაობაში ყოფნისას საკუთარი ინტერესები გააჩნდა. საქართველოს ეკლესიამ მიზნად დაისახა ღვთისმშობლის წილხვედრი, უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობის გახსენება მსოფლიო საქრისტიანოსათვის; ამასთან, გასარკვევი იყო ავტოკეფალური ეკლესიის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხიც: 1). რუსეთის იმპერიის ბატონობის ხანაში დაკარგული და აღდგენილი ავტოკეფალობის აუცილებელი ატრიბუტი - კათოლიკოს-პატრიარქისათვის მამამთავრის წოდების მინიჭება; 2). მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში ადგილის საკითხი და სხვ. – „ჩვენ არ ვითხოვთ ახალი რაიმის მოცემას ან დამტკიცებას, ჩვენ მხოლოდ მოვითხოვოთ მრავალი საუკუნის წინ დაწესებული ეკლესიური ტიტულის წოდებას ჩვენ მიმართ. ჩემი აზრით, კონსტანტიპოლის მსოფლიო საპატრიარქომ არ უნდა დაუშვას, რომ უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დააყენოს ახალი ეკლესიების გვერდით. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი ჩვენი მდგომარეობა, რომელიც სამწუხაროდ დავკარგეთ 1811 წელს“ - აღნიშნა ეკუმენურ შეხვედრაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ.

საქართველოს ეკლესიამ მიზანს მიაღწია და 1990 წელს მისი ავტოკეფალურობის უძველესობა წერილობითი დოკუმენტით ცნო კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ და მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა. მანვე აღიარა საქართველოს ეკლესიის მამამთავრის - პატრიარქის წოდება. ფაქტი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის მონაწილეობამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში დადებითი შედეგი გამოიღო იმ თვალსაზრისით, რომ საუკუნეზე მეტი ხნის შემდგომ საქართველომ აღიდგინა კუთვნილი ადგილი მსოფლიო საქრისტიანოში, გაარღვია საბჭოთა იმპერიის დახურული სივრცე და ამით თავისი პოზიციაც გაიმაგრა საბჭოთა სახელმწიფოში. საქართველოს ეკლესია არ დაემორჩილა სოციალისტური სისტემის რეჟიმსა და საბჭოურ იდეოლოგიას, უფრო

მეტიც, უკანასკნელ წლებში ეკლესიოლოგიურ საკითხებში რუსეთის ეკლესიაზე მეტი სიმტკიცით გამოიჩინა თავი.[40]

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოვლინდა ეკუმენური მოძრაობის ნამდვილი სახე და მისი მიზნები; გაჩნდა დოგმატური ცვლილებებისაკენ მისწრაფება, ეკლესიის „მორგების“ მცდელობები თანამედროვეობის მოთხოვნებთან, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლების თანალოცვების წესების შემუშავება და ა.შ. აღნიშნულით, შეურაცხყოფილი დარჩა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რადგან თავისი ისტორიის მანძილზე არავითარი პირობების საფასურად მას არ დაუთმია მართლმადიდებლური გაგება.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობის ეკლესიოლოგიური კუთხით წარმართვამ გამოავლინა მისი მისწრაფებანი მართლმადიდებლურ ეკლესიებში საერთო პრაქტიკული წესების დანერგვის მიმართულებით. საბჭოს კრებებზე მიღებულ ტექსტებში იყო ისეთი პუნქტები, რომლებიც უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა მართლმადიდებლური სწავლებისათვის. კრებებზე არ იხილებოდა ის დოგმატური სხვაობები, რომლებიც მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად არც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო.[41]

მიუხედავად საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა თამამი გამოსვლებისა, მიმდინარე მოვლენებს პოლიტიკური საფუძველი დაედო, თავად ეკლესიაში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა საქართველოს ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობის მართებულობის ირგვლივ. საქართველოს ეკლესიას შიდა ერთობის სერიოზული საფრთხე შეექმნა. აღნიშნულის გამო, 1997 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დატოვა მსოფლიო ეკლესიათა საბჭო. ოფიციალურ მიზეზად გამოცხადდა საქართველოს ეკლესიაში 1993-1995 წლებში შექმნილი განხეთქილების საშიშროება.[42]

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლით საქართველოს ეკლესიას არც ჯანსაღი გაგებით დაუგმია ეკუმენიზმი და, არც ის მართლმადიდებელი ეკლესიები,

---

[40]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 608

[41]ა. უნგიაძე. ვატიკანი საქართველოს მოშორებას გეგმავს // ჯორჯიანთაიმსი. - თბ., 2004. - 22-29აპრილი. - N16. - გვ.4

[42]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 609

რომლებიც საბჭოსთან თანამშრომლობაში იყვნენ. საქართველოს ეკლესიის მხრიდან საწინააღმდეგო ქმედება ნიშნავდა საბჭოს წევრი ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის დაგმობას. ასეთ შემთხვევაში, მას წევრი ეკლესიები მწვალებლურ ეკლესიად უნდა გამოეცხადებინა და მათთან (კონსტანტიპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, რუსეთის, ელადის, კვიპროსის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხეთის და სხვ.) ევქარისტული კავშირი გაეწყვიტა, ანუ მოწყვეტილიყო მართლმადიდებელ ეკლესიის ერთობას და მწვალებლურ განშტოებად, სექტად ქცეულიყო. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ წარმოებული ეკუმენური მოძრაობა იმ ფორმით, რომელიც მან ბოლო დროს მიიღო, არ იყო სასურველი ჩვენი ეკლესიისათვის. ეს საკითხი ადრეც არ იყოს უცხო ჩვენთვის“. 1997 წლის მაისის მოვლენებმა დააჩქარა მისი განხილვა და 20 მაისს წმინდა სინოდის კრების გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესია გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან. ამასთანაცე, „ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მონაწილეობა მწვალებლობაში ყოფნას ნიშნავს და ამგვარად, ევქარისტული კავშირის გაწყვეტა ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან იმის გამო, რომ ისინი არიან ეკლესაითა მსოფლიო საბჭოს წევრები - მიუღებელია“ - ამცნო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მანვე დასაბუთებული შეფასება მისცა ზოგადად ეკუმენიზმს და მის მოძრაობას - „სხვა არის ეკუმენიზმი და სხვა ეკუმენური მოძრაობა. ეკუმენიზმი, როგორც ეკლესიათა გაერთიანება, მიუღებელია. რაც შეეხება ეკუმენურ მოძრაობას, მისი მონაწილეები კაცობრიობისათვის საჭირბოროტო ბევრ ისეთ საკითხს განიხილავენ, როგორიცაა სოციალური საკითხები, გენური ინჟინერიისა და ეკოლოგიის პრობლემები, ცდილობენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა შორის გააღვივონ ადამინური ნდობა და სხვა“.[43]

ამრიგად, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსათვის საქართველოს ეკლესიის „დაკარგვა“ უმნიშვნელო მოვლენა არ იყო, რასაც საბჭო გულისტკივილით აღნიშნავდა და იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს ეკლესიის წიაღში წამოჭრილი

[43]ა. უნგიაძე, ვატიკანი საქართველოს მოშორებას გეგმავს / ა. უნგიაძე // ჯორჯიან თაიმსი. - თბილისი, 2004. - 22-29 აპრილი. - N16. - გვ.4

პრობლემები, რაც საბჭოს დატოვების მიზეზი გახდა უახლოეს მომავალში გადაიჭრებოდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ისევ დაუბრუნდებოდა.[44]

თავი IV

[44]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 610

ეკუმენური მოძრაობის თეორიული არსი და მისი კულტუროლოგიური მნიშვნელობა

იოკუმენა (ბერძ. იოკუმენე) მიწის დასახლებულ, ცივილიზებულ ნაწილს აღნიშნავს და პირველად ბერძენ მოაზროვნე ჰეკატე მილეთელთან (ძვ.წ. 6-5 ს.) გვხვდება, ელინთათვის „შინაური“, ნაცნობი სოციუმის მნიშვნელობით.

ტერმინ „ეკუმენიზმის“ სიძველის მიუხედავად მისი ნორმატიული მნიშვნელობა არაერთგვაროვანია. იგი ხშირად წარმოგვიდგება, როგორც გარკვეული იდეოლოგიის, პრაქტიკის, ან ტრადიციულ ნორმათა შინაარსის მატარებელი ერთეული, ამიტომ თანამედროვე ღვთისმეტყველთა ერთი ნაწილი მის ნაცვლად „ეკუმენური მოძრაობის“ ცნებას გვთავაზობს, რაც ქრისტიანული ერთობის აღდგენის მცდელობით მოიაზრება. თუმცა ეკუმენიზმის ფენომენის პრობლემა ამით არ ამოიწურება. გამოხატვის სხვადასხვა ფორმებთან, შესაბამის საორგანიზაციო სტრუქტურებთან და ფორმალურ ელემენტებთან ერთად დღევანდელი ქრისტიანების ცნობიერებაში არსებობს გარკვეული განწყობა, წარმოდგენათა ერთობლიობა, შეიძლება ითქვას ღირებულებათა სისტემა, რომლებიც ეკუმენიზმს უკავშირდება, ამიტომ ამ ცნების ქვეშ შეიძლება ქრისტიანული კულტურის გარკვეული ასპექტი მოვიაზროთ. აუცილებელია გარკვეულ იქნას თუ რამდენადაა განპირობებული შესაბამისი იდეები ეკლესიის ისტორიული გამოცდილებით და, რამდენად ორგანული არიან ისინი ეკლესიური ცნობიერებისათვის.

„ფართე ეკუმენიზმი“ - რელიგიათშორის ურთიერთობებს გულისხმობს, მაგრამ ჩვეულებრივ ეკუმენურ მოძრაობაში შიდა ქრსიტიანული ერთობის ძიება იგულისხმება.

„თანამედროვე ეკუმენისტები" ეკუმენიზმს უწოდებენ „ჩვენს დროში სულიწმინდის მოძრაობას" და მიაჩნიათ, რომ შეიძლება ახლებურად ლაპარაკი ღმერთზე, იესო ქრისტეს საიდუმლოებებსა და წმინდა ეკლესიაზე. არაფრად აგდებენ მართლმადიდებლურ დოგმატებს, კანონებს და წმინდა გადმოცემებს.[45]

---

[45]გურიელი, ა. ჩვენი უკანასკნელი დროის მთავარი საფრთხის - ეკუმენიზმისა და პანეკუნიზმის მზაკვრული სახე // ქვაკუთხედი : ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჟურნალი. - თბ., 2010. - N12, გვ.12-13.

ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ეკუმენიზმი, რომელიც დღემდე არსებობს და მარადი არსებებს, ჟენევის „ეკუმენიზმის" გაჩენამდე კარგა ხნით ადრე წარმოიშვა. ესაა ეკუმენიზმი ანუ მსოფლიო საყოველთაობა წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელიც დააარსა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რათა მისი მეშვეობით მთელ მსოფლიოში გავრცელებულ იყო მის მიერ განცხადებული ჭეშმარიტება და აღსრულებულიყო ადამიანთა ცხონება. ჭეშმარიტად ეკუმენური ეკლესია ყოველთვის ისწრაფოდა და დღესაც ისწრაფვის სულიერი ერთობის, გაერთიანებისაკენ, მაგრამ ჭეშმარიტების - მართლმადიდებლობის, ჭეშმარიტი სარწმუნოების წიაღში, რასაც ჟენევის ეკუმენიზმი მსოფლიოში არსებულს ხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა გაერთიანების, სულიერი ერთობის მცდელობით ცვლის. ამიტომაცაა თანამედროვე ეკუმენიზმი სრულიად ახალი მოვლენა და მიუღებელი ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის.[46]

მართლმადიდებელი ქრისტიანები, ჭეშმარიტი გაგებით ნამდვილი ეკუმენისტები არიან, როგორც წევრები „ერთი წმინდა კათოლიკე (საყოველთაო) სამოციქულო ეკლესიისა", რომელსაც დაარსების დღიდანვე „მსოფლიო" (ეკუმენური) ეწოდება! მართლმადიდებლობის უპირატესობა სწორედ ისაა, რომ იგი ერთადერთია ყველა ქრისტიანულ აღმსარებლობას შორის, რომელიც ყოველთვის სწორად ასწავლიდა და ასწავლის ღმერთის, ქრისტეს, მისი ეკლესიისა და ყველა საღმრთო საიდუმლოს შესახებ. დასაბამიდან მართლმადიდებლური სარწმუნოება უცვლელად ინახავს ღვთივ გამოცხადებულ სწავლებას და წმინდა გადმოცემას. ევანსტონის 1954 წლის ეკუმენისტური ასამბლეის მართლმადიდებელ მონაწილეთა დეკლარაციაში კარგადაა ნათქვამი, რომ „ერთადერთმა წმინდა მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეინახა სავსებით და შეურყვნელად სარწმუნოება. ღმერთს სურს დაიცვას „საფასე ესე კეცის ჭურებითა, რაითა გარდარეული იგი ძლიერებისაი იყოს ღმერთისაი და არა ჩვენგან" (2 კორ. 4,7).[47]

---

[46]გიორბელიძე, ი. ეკუმენიზმი - ამაო ცდა ქრისტიანობის გაერთიანებისა. - ბათუმი : საბჭ. აჭარა, 1977, გვ. 37

[47]შ. მერკვილაძე. ვინც მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტებას იპოვის, კვლავ განაგრძობს რაღაცის ძიებას, სიცრუეს და ეძებს http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/es-unda-vicodeth/2039-vinc-mas-shemdeg-rac-tceshmaritebas-ipovis-kvlav-ganagrdzobs-raghacis-dziebas-sicrues-daedzebs.html

4.1. **კონფესიური დაყოფის საეკლესიო და არასაეკლესიო მიზეზები**

მრავალი საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები ერთმანეთისგან სრული გაუცხოების პირობებში თანაარსებობდნენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ წინააღმდეგოგები, რომელთაც განაპირობებს გაუგებრობა და ურთიერთბრლადებები თავდაპირველად საერთო ზრუნვის საგანს წარმოადგენენ და „უნიის“ საფუძველიც მხოლოდ თავდაპირველ ერთობაშია. ქრისტიანული ერთობა მცირე დროს ითვლის და სრული სახით არ წარმოგვიდგება, მაგრამ მაინც შეიძლება ვისაუბროთ განუყოფელი ეკლესიის ათასწლოვან პერიოდზე. იგი ხასიათდება შემდგომში არნახული თანხმობით რწმენის საკითხებში. ნებისმიერი უთანხმოებაც ეკლესიის ერთიანი სხეულის შიდა პრობლემად წარმოდგებოდა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ განხეთქილების პირველი კვალიც სწორედ ერთიან სულსა და ურთიერთპასუხისმგებლობის განცდას დაეტყო, ხოლო აღმსარებლობითი უთანხმოებების გამწვავება მოგვევლინა, როგორც გარდაუვალი თანმხლები მოვლენა საყოველთაობის საერთო შეგნების, კათოლიკური ცნობიერების რღვევისა, რადგან აღმოსავლეთი დასავლეთისაგან ყოველთვის განსხვავდებოდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ არც წმინდა იერონიმეს პალესტინაში, არც წმინდა ათანასეს დასავლეთში თავი ეგრძნოთ როგორც სახლში.[48] მიუხედავად ამისა გაუცხოებამ იქმადე მიაღწია, რომ საერთო წარსული დავიწყებას მიეცა და ქრისტიანები თავიანთი გამოცალკევებული, ნაკლოვანი მდგომარეობის „კათოლიკურობაში“ დარწმუნებული სრულ თვითკმაყოფილებას მიეცნენ.

ისტორიკოსების ობიექტურად ჩატარებულმა გამოკვლევემა ცხადყვეს, რომ ე.წ. ეკლესიათა გაყოფა, უმთავრესად არაეკლესიურმა მიზეზებმა, კერძოდ ეთნოფსიქოლოგიურმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს, რომლებიც საფუძვლად დაედო ასევე მრავალ საეკლესიო კონფლიქტს. ცხადია, ეს კონფლიქტები, რომელთა შედეგადაც საუკუნეების მანძილზე დაზარალდნენ როგორც

[48]შხამი ეკუმენიზმისა // ჯორჯიანთაიმსი. - თბილისი, 2004. - 1-8 ივლისი. - N26. - გვ.12

კათოლიკები, ისე მართლმადიდებლები, ვერ გამოდგებიან ანტიეკუმენური განწყობის საფუძვლად, მით უმეტეს რომ მიტევება ქრისტიანის ვალია, საკუთარი ღირსებისა და იდეოლოგიური მრწამსის წინააღმდეგაც კი (მაგრამ არა რელიგიური მრწამსის, რადგან სქიზმატური სული 1204 წლის ბიზანტიაზე ჯვაროსნული გალაშქრების მწარე გამოცდილებით უფრო საზრდოობს ვიდრე „ფილიოკვეს“ „პრობლემით“).[49]

სქიზმა გარკვეულწილად გეოგრაფიულ გაყოფად მოგვევლინა, რამაც ენობრივი გამოხატულებაც ჰპოვა. ბერძნული, მთელს ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებული ენა, რომელიც წარმოადგენდა ასევე ქრისტიანული აზროვნების ენას - დავიწყებას მიეცა დასავლეთში. ლათინური საეკლესიო მწერლობა უცხო გახდა ბერძნულისათვის, ისევე როგორც ბერძნული თეოლოგიური აზრი დაშორდა ლათინურს. დასავლეთის კულტურულმა აღორძინებამ ბერძნული მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილი გადაარჩინა, მაგრამ კავშირი საერთო ეკლესიურ წარსულთან საბოლოოდ გაწყდა. გაჩნდა დაპირისპირება „ძველსა“ და „ახალს“ შორის. ბიზანტიისაგან განსხვავებით დასავლეთი ინტელექტუალური ძალის აღდგენის გზით სრულიად ახალ მსოფლმხედველობრივი აზროვნების ეტაპზე გადავიდა. XIII საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების აღმავლობის გავლენით დასავლურმა ქრისტიანულმა ცნობიერებამ დასრულებული სახე მიიღო. მსოფლმხედველობრივი ერთიანობის აღდგენა კი დღევანდელი ეკუმენური პროცესების მთავარ პრობლემად იქცა, რაც აგრეთვე არ არის თავისუფალი „არასაეკლესიო“ საფუძველისაგან. ყველა ქრისტიანი თანახმა იყო, რომ უნდა არსებობდეს ერთი მსოფლიო ქრისტიანული სახელმწიფო და სრულიად კანონზომიერად მოხდა ეკლესიის სხეულის შეფარდება მაშინდელ „მსოფლიო“ სახელმწიფოსთან - რომის იმპერიასთან. საკამათო მხოლოდ ამ სახელმწიფოს სახელისუფლებო ცენტრი გახდა. იმპერატომა კონსტანტინემ იგი ბიზანტიაში გადაიტანა. დასავლეთის მტკიცებით კი 800 წელს კარლოს დიდის გამეფებასთან ერთად შედგა ახალი იმპერია, და, რომ მთელი ქრისტიანული სამყარო რომიდან იმართება. სწორედ ეს

[49]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 611

გახლდათ სქიზმის საღვთისმეტყველო სფეროდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში ოფიციალური გადატანა.

ბიზანტიის იმპერია დასუსტდა და საბოლოოდ სრულიად გაჰქრა. დასავლეთის გაძლიერებას კი მოჰყვა აღმოსავლური ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების გადაფასება. კლასიკური ბიზანტიური პატროლოგიური ორთოდოქსია დასავლეთს წარმოუდგა როგორც ეგზოტიკური ტრადიცია და შემცდარი კულტურაც კი, რასაც საპასუხოდ ბიზანტიისაგან წინააღმდეგობა, ან სრული უგულებელყოფა მოჰყვა.

თურქული დაქვემდებარების ასწლეულებმა გზა დაუკეტა აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს კულტურულ განვითარებას, მაგრამ ბიზანტია ყოველთვის რჩებოდა ქრისტიანული ტრადიციის სიმბოლოდ, რომელიც უწყვეტად უკავშირდებოდა ეკლესიის ისტორიის მოციქულთა პერიოდს.[50]

მსოფლიო ერთობის აღდგენის იდეა პირდაპირ დაუკავშირდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთგადაფასებას და ფართე სინთეზს, რომელიც დიდი მცდელობის მიუხედავად არასოდეს განხორციელებულა სრულად. რეფორმაციის შემდეგ კი პოლიტიკურმა მომენტმა ეკლესიურ ურთიერთობებში შეინარჩუნა მნიშვნელოვანი ადგილი. კონფლიქტის მონაწილეები მოწინააღმდეგე ბანაკების ტერმინებით აზროვნებას და „საკუთარ რჯულზე მოქცევის“ ტენდენციასაც არ დაუკარგავს სრულად ძალა. როგორც წესი, დიალოგიც გვრდს უვლიდა არსებით საკითხს.[51]

XIX საუკუნეში ისტორიული პროცესების ახლებური გააზრების შედეგად შესაძლებელი გახდა დაახლოებისაკენ შედარებით უფრო ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. წინა რიგში წამოიწია წმინდა სახის საღვთისმეტყველო საკითხები, რამაც ნათელი გახადა, რომ საეკლესიო ერთობის მთავარი პრობლემა ეკლესიის მოძღვრების თვითნებურ გაგებაში მდგომარეობდა და მიუხედავად იმისა, რომ ვერ იქნა მოძებნილი საკითხის გადაჭრის ვერც ერთი პრაქტიკული საშუალება, მოხდა გარკვეულ ინტერესთა

[50]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 612

[51]ლ.მათეშვილი. თანამედროვე მართლმადიდებელი ეკლესიის დიალოგი და პრინციპები სხვა კონფესიების მიმართ. http://tdi.ge/ge/page/tanamedrove-martlmadidebeli-eklesiis-dialogi-da-principebi-sxva-konpesiebis-mimart

თანხვედრა და შედეგის საერთო მოლოდინი საფუძვლად დაედო პირველ ეტაპზე ეკუმენიზმის, როგორც არა კონფესიონალური მოძრაობის ჩამოყალიბებას.[52]

4.2. **საეკლესიო სქიზმისა და ერთობის ისტორიული გამოვლინებები**

ეკუმენური მოძრაობა არსებითად ეკუმენიზმის ინსტიტუციონალური გამოვლინებაა. იგი პროტესტანტობის წიაღში ჩაისახა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როგორც „ერთობის ნების“ გამოვლინება ქრისტიანული საზოგადოების ნაწილისა. გარდა ამისა, ეკუმენური მოძრაობის ჩამოყალიბების ძირითადი მოტივი და იმპულსი საერთაშორისო ქრისტიანული კოოპერაციული ორგანიზმის აუცილებლობა და დენომინაციონალიზმის დაძლევის მცდელობა გახდა, XIX საუკუნის მახასიათებელ თვისებას ეკლესიის ისტორიაში კონფესიონალური კავშირებისა და ალიანსების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

XX საუკუნის პირველ მესამედში ეკუმენური მოძრაობა არ წარმოადგენდა ერთ მთლიანობას. იგი უფრო შიდა პროტესტანტული მოძრაობების ერთობა გახლდათ, თუმცა პრაქტიკულად, ჩამოყალიბების დღიდან, მის ინიციატორებს ამოძრავებდათ სწრაფვა ეკუმენური მოძრაობის ერთიანი ორგანიზმის შექმნისა, რაც შემდგომში გაფორმდა, როგორც „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“. ამის გარდა, გაჩნდნენ ნაციონალური და რეგიონალური ორგანოები ეკუმენური თანამშრომლობისა - რელიგიონალური: „ეკლესიის საბჭოები“. მისიონერული საქმიანობის გარდა, ეკუმენური მოძრაობის ინტერესების სფეროში პირველ რიგში შევიდა თანამშრომლობა პრაქტიკული საქმიანობის სფეროში. შედარებით გვიან ჩამოყალიბებული მოძრაობა შიდა ქრისტიანული გაერთიანებისთვის შთაგონებული იყო სწორედ პროტესნტანტული სწავლებით ეკლესიისა და ქრისტიანული ერთობის აღდგენის მიზნებსა და ამოცანების შესახებ.[53]

---

[52]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 613
[53]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 618

პროტესტანტული ეკუმენიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება გახლდათ ის, რომ არც ერთი არსებული კონფესიათადაგანი არ შეიძლება პრეტენზიას აცხადებდეს სრული მნიშვნელობით, სახელდებულ იქნას როგორც „ერთიანი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. არსებითად ისინი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური არასრულყოფილებით გამოწვეული გაყოფის შედეგად წარმოქმნილი დენომინაციები. ქრისტიანული ერთიანობის ბუნებისა და გაყოფის მნიშვნელობის საკითხები არაერთმნიშნელოვან ხასიათს ატარებდნენ და არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა კონფესიათა შორის, მაგრამ ძირითადად, არსებით საკითხში „ეკუმენური ეკლესიოლოგია“ დაიყვანება იმაზე, რომ ქრისტიანული ერთობა არის გარკვეული მოცემულობა. ყველა ქრისტიანი, რამდენადაც მათ სწამთ ქრისტე, იმდენად ერთიანია ქრისტეში. ეკუმენური ამოცანაც, შესაბამისად გულისხმობს აუცილებლობას ნათელი სახით გამოიხატოს ეს ონტოლოგიური ერთობა, რომელიც დარჩენილა და უკანა რიგში გადავიდა ისტორიის მსვლელობისას. აქედან გამომდინარე, პრაქტიკულ ჭრილში, ერთიანობის აღდგენის პერსპექტივაში იმთავითვე მოიაზრებოდა ნომინაციათშორისი შეთანხმებების ჭრილში.[54]

ეკუმენისტურ საზოგადოებაში გავრცელებული თეზისის - „დოგმა ყოფს, ცხოვრება აერთიანებს“ - თანახმად, დენომინაციათა ურთიერთდაახლოებისათვის შემოთავაზებულ იქნა:

1)დოქტრინალური კონსენსუსისადმი სწრაფვა საკითხებში, რომლებიც კონფესიური დაყოფის ფორმალურ საფუძველს წარმოადგენენ (ასეთი კონსენსუსი, ისევე როგორც ყველა სხვა, მოითხოვს ურთიერთდათმობას, განსხვავებებისა და წინააღმდეგობების მეორეხარისხოვან საკითხებად ცნობას, განსაკუთრებით იმდენად, რამდენადაც დოქტრინალური განსხვავებები მეტწილად - თეოლოგების სპეკულაციებისა ეკლესიის ადმინისტრატორების ძალაუფლების მოყვარეობით იყო გამოწვეული).

2)დოქტრინალური კონსენსუსის მიღებამდეც ერთიანობის განხორციელება პრაქტიკულ საქმიანობაში - მისიონერულ, ჰუმანიტარულ და ა.შ. სწრაფვა

[54]ქ. პავლიაშვილი. მოდერნიზმი ეკლესიაში - ეკუმენიზმი და მართლმადიდებლური ქრისტიანობა // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. - თბ., 2002. - N11. - გვ.58

ეკლესიათშორისი ურთიერთობის დამყარებისაკენ, როგორც დენომინაციათა სულიერი დაახლოების საშუალება - რაშიც იგულისხმება ერთობლივი ლოცვა, სხვა კონგრეგაციების წარმომადგენლების მოწვევა ღვითსმსახურებაზე და ა.შ. - მოგვიანებით, ამ იდეამ მიიღო ე.წ. „ევქარისტული სტუმართმოყვარეობის“ სახე, როდესაც ევქარისტიაში მონაცვლეობის მისაღებად მოწვეულია სხვა კონფესიის წარმომადგენელი, რომელთანაც არ არის სრულად აღდგენილი ურთიერთობა.

მსოფლიო საეკლესიო საბჭოს, მისი ინიციატორები განიხილავდნენ, როგორც კორდინაციის საკუთესო საშუალებას და ეკუმენიზმის ქმედით გამოვლინებას. როგორც დინამიური ორგანიზაცია იგი ნათლად ასახავს ზოგად ქრისტიანულ მგრძნობელობას ერთიანობის იდეის მიმართ, თუმცა საბჭომ ვერ შეასრულა დიალოგის ერთიანი ველის ფუნქცია. შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციის დადებითი როლი იმაშია, რომ მან ერთ წერტილში მოუყარა თავი ეკლესიის თვითგამორკვევის პროცესში წარმოქმნილ როგორც დადებით, ისე უარყოფით ფაქტორებს.[55]

მსოფლიო პატრიარქის 1920 წლის ცირკულარი და მართლმადიდებელთა მხრიდან „ეკუმენურ მოძრაობაში“ მონაწილეობა არგუმენტირდება მხოლოდ ერთი მიზეზით – „საყოველთაოდ გავრცელებული ალკოჰოლიზმი, განუსაზღვრელი უსარგებლო სიმდიდრე და მისი გაღმერთება, სიამოვნებებისადმი კარგად შენიღბული ტრფიალი, გარყვნილი, უმსგავსო ლიტერატურა, მხატვრობა, თეატრი, მუსიკა...“ და ვერ წარმოუდგენიათ ის ჭეშმარიტება, რომ ღრმა საზოგადოებრივი ჭრილობები მხოლოდ ადამიანის ძალისხმევითვე განიკურნება.[56]

პატრიარქის აღნიშნული ცირკულარი „ეკუმენიზმის უკიდურეს გამოხატულებასა და ეკუმენისტური მოძრაობის ეპოქის დასაწყისს წარმოადგენს“.29 მასში დასავლური საზოგადოების არამართლმადიდებლები დახასიათებული არიან „არა როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ მყოფნი და მისთვის უცხონი, არამედ როგორც

[55]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 619
[56]არსენი (ვლიანკოფტი) მართლმადიდებელი მონაზვნობა და რელიგიური სინკრეტიზმი http://martlmadidebloba.ge/sacdurebi17.html

ქრისტესმიერი ნათესავნი, ახლობელნი და თანამემკვიდრენი, აღთქმის განმახორციელებელნი“.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საძირკველშივე იდო სრული გამიწიერება და მართლმადიდებლურ თვითშეგნებასთან გაუცხოება. გარდა ამისა, გამიწიერებამ, მორალიზმმა და ჰუმანიზმმა, რომელთა წიაღშიც ფრანგული განმანათლებლობა იშვა, გზა გაუხსნეს არა მართლმადიდებლურ ეკუმენიზმს. ვამბობ არა მართლმადიდებლურს, ვინაიდან გვაქვს მართლმადიდებლური ეკუმენიზმიც, რაც ეკლესიის ეკუმენობას ნიშნავს და რომელსაც მრწამსის სიმბოლოში ვაღიარებთ.[57]

ამრიგად, ეკუმენიზმი არის ერთი მხრივ, გაუმართლებელი მეტისმეტად ოპტიმისტური, ძალიან გაადვილებული, სწრაფად ერთობის მიღწევის იდეა. ის დაფუძნებულია თანამედროვე საერო კულტურიდან შეტანილი პოლიტიკური კორექტულობისა და ტოლერანტობის იდეაზე და რეალურად შეუძლებელია. მეორე მხრივ კი, გაუმართლებელია სრული გაუცხოება სხვა კონფესიების მიმართ, თავდაცვა და მათ კრიტიკაზე აგებული რიტორიკა.

ყველა ქრისტიანი, ვინც ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლოს აღიარებს, ადასტურებს რწმენას „ერთ წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა“, რომელიც ღვთის აღთქმას ეფუძნება: „ავაგებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ნჭენი“ (მათე 16, 18) და „აჰა, მე თქვენთან ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე“ (მათე 28, 20). უფალმა აღუთქვა მის მოწაფეებსა და მიმდევრებს, რომ ყოფილიყვნენ ერთობაში და აღევლინათ პირველმოციქულთა ლოცვა ღვთისადმი, „რათა ჩვენსავით ერთი იყვნენ“ (იოანე 17, 11); „რათა ყველანი ერთი იყოს, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა“ (იოანე 17,21); „რათა სრულყოფილ იყვნენ ერთში“ (იოანე 17, 23). ეს სამგზის გამეორება ნათელი მტკიცებაა იმისა, რომ ქრისტიანთა ერთობა აუცილებელი პირობაა ეკლესიის ძირითადი მოწოდების შესასრულებლად: იქდაგოს ღვთის სიტყვა, წარუძღვეს ხალხს უფლის სასუფევლისაკენ, ხსნისაკენ.

[57]არსენი (ვლიანკოფტი) მართლმადიდებელი მონაზვნობა და რელიგიური სინკრეტიზმი http://martlmadidebloba.ge/sacdurebi17.html

ქრისტიანებმა აღთქმა დაარღვიეს, როგორც პროფესორი კარტაშევი აღნიშნავს - „ისინი თავად არიან დამნაშავენი გაყოფაში, მათ არ ეყოთ სწორედ ქრისტიანული სიყვარული და ეკლესიაც გაიყო, რაც მოწმობაა ადამიანის ცოდვილი ბუნებისა - „ნუთუ თავად ქრისტე გაიყო?“[58]

ისტორიულად პირველი მძიმე ერესები და სქიზმები ძველი აღმოსავლური ეკლესიის წიაღში წარმოიშვნენ. ჯერ კიდევ მილანის ედიქტამდე (313 წ.) ეკლესიის დევნის პერიოდში გაჩნდნენ ერეტიკული მოძღვრებები, აღმსარებლობის თვითნებური განმარტების საფუძველზე, მაგრამ არა საღვთისმეტყველო მიზეზებით. ქრისტიანთა გაყოფის პროცესში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ერთის მხრივ, გაბატონებული იმპერიული იდეოლოგის სწარფვა ნებისმიერი საშუალებით დაემორჩილებინა ისინი, ვინც ქალკედონის კრებასა და შესაბამისად იმპერიის საეკლესიო პოლიტიკას განუდგა; მეორე მხრივ, სხვადასხვა ქრისტიანული თემის ანტიქალკედონური, ანტიიმპერიული ფსიქოლოგიურად მიკერძოებული განწყობის თვითდამკვიდრებისაკენ სწარფვა, იქამდე, რომ ისინი მზად იყვნენ განდგომოდნენ ბიზანტიის იმპერიასა და გაბატონებულ ეკლესიას.[59]

ქრისტიანთა გაყოფის პროცესმა აღმოსავლეთში, ისლამის მძლავრმა მოდინებამ და აღმოსავლეთის პატრიარქების (კონსტანტინოპოლოს, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის) მკვეთრმა დასუსტებამ პირდაპირ გამოიწვიეს რომის პაპის გავლენისა და ძალაუფლების ზრდა. გაიზარდა ასევე მისი პრეტენზია ბატონობისა სრულიად მსოფლიო ეკლესიაზე. ამან გამოიწვია უთანხმოება პატრიარქ ფოტისა და პაპ ნიკოლოზ I-ს (IX-ს) შორის და შემდგომი კონფლიქტი რომსა და კონსტანტინოპოლს შორის პაპ ლევ IX-სა და მიქაელ კელურალიუსს შორის (XI ს.), რომელიც პაპის მიერ ბერძნული ორთოდოქსიის შევიწროვებას დაუკავშირდა სამხრეთ იტალიაში (ორთოდოქსული იურისდიქციისა და წესის შეცვლა ლათინურით). იმ ეტაპზე ეს კონფრონტაცია ურთიერთობის სრული გაწყვეტითა და ანათემით დასრულდა 1054 წელს, რასაც ეწოდება

[58]გურიელი, ა. ჩვენი უკანასკნელი დროის მთავარი საფრთხის - ეკუმენიზმისა და პანეკუნიზმის მზაკვრული სახე // ქვაკუთხედი : ეროვნულ-სარწმუნოებრივიჟურნალი. - თბ., 2010. - N12, გვ.12
[59]ნ. ლადარია. დიდი სქიზმა // ტაბულა, 2010, 22 მარტი, გვ. 5

„ეჯლესიის გაყოფა“, მაგრამ ფაქტობრივად და კანონიკურად 1054 წესლ მოხდა ურთიერთობის გაწყვეტა და ანათემირება პაპ ლევ IX-ის (რომელიც ამ დროისათვის უკვე გარადცვლილი იყო) ლეგატის, კარდინალ ჰუბერტსა და პატრიარქ კერულარიუსს შორის, რაშიც სხვა აღმოსავლეთის პატრიარქებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დღევანდელი დიალოგი კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ სამყაროებს შორის ეფუძნება სწორედ საერთოქრისტიანული წარსულის ისტორიულ ფაქტებს და ისინი, ვინც დაინტერესებულნი არიან ქრისტიანული ერთობის საკითხით ცდილობენ აღადგინონ ის მთავარი თეოლოგიური და ეკლესიოლოგიური დებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხერხდებოდა ეკლესიური ურთიერთთანხმობა და ერთსულოვნება აღმსარებლობით საკითხებში ქრისტიანობის ისტორიის პირველი პერიოდის განმავლობაში. იოანე-პავლე II-ის სიტყვებით რომ ვთქვათ - „როდესაც ეკლესია ორივე ფილტვით სუნთქავს“.[60]

გვიანდელი შუასაუკუნეების ისტორიის კურსის შეცვლისა და ეკლესიური ერთობის აღდგენის ყველაზე დიდ მცდელობას წარმოადგენდა 1438 წლის ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII პალეოლოგი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოსებ II, ასევე ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქების წარმომადგენლები. რომის ეკლესიაში იგი მოიაზრებოდა როგორც მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრება, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთისთვისაც, სადაც ჩამოყალიბდა პრობლებური საკითხების საეკლესიო კრების გზით გადაჭრის ტრადიცია. არსებობდა „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ დაახლოების მსგავსი პრეცენდენტიც 879-880 წლების კრების სახით, რომელზეც მოხდა პაპ იოანე VIII-სა და პატრიარქ ფოტის შერიგება. კრებამ თავისი თავი მსოფლიო კრებად გამოაცხადა და აკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს. 1438 წელს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არ ყოფილა ევქარისტული ურთიერთობა (განსხვავებით 879 წლისაგან) და არ ყოფილა „ფოტის“ კრების საერთო აღიარება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ XIV საუკუნის განმავლობაში ჯვაროსნული ლაშქრობების,

[60]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 614

აღმოსავლეთში გატარებული ლათინური იერარქიის შემდეგაც ბიზანტიელები იმედოვნებდნენ „გაერთიანებული“ კრების შესაძლებლობას, რასაც არაერთხელ სთავაზობდნენ პაპებს. თუმცა დიდია ეჭვი იმისა, რომ ეს სწრაფვა მეტწილად განპირობებული იყო თურქული საფრთხის წინაშე დასავლური დახმარების იმედით. მიუხედავად ამისა, საერთო კრების იდეა, განსხვავდებოდა წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილებებისაგან, რაც პაპის ძალაუფლების სრულ დაქვემდებარებას გულისხმობდა (მაგალითად, იმპერატორ მიქაელ VIII-ის მცდელობა XIII საუკუნეში). ფლორენციის კრებას წინ უძღოდა შემდეგი ინიციატივები:

1. 1339 წელს ვარლაამ კალაბრიელმა წარუდგინა კონსტანტინოპოლს სინოდის გაერთიანების პროექტი, რომელიც საერთო მსოფლიო კრების გეგმას ეფუძნებოდა. მას უფლება მიეცა წარდგომოდა პაპ ბენედიქტე XII-ს. ვარლაამი იმედოვნებდა, რომ განხილვა ტრინიტარულ საკითხს არ შეეხებოდა (იმ პირობით, რომ ლათინები ფილოქვეს ამოიღებდნენ სიმბოლოდან), მაგრამ ვინაიდან პაპმა უარი განაცხადა ნებისმიერი დოგმატის განხილვაზე, პროექტი უარყოფილი იქნა;

2. თუ ვარლაამი შეიძლება ჩაითვალოს მეორეხარისხოვან ფიგურად, ამას ვერ ვიტყვით იოანე VI კანტაკუზენზე, მონაზვნური პარტიის ლიდერზე, რომელმაც დიდად განაპირობა პალამური მიმდინარეობის გამარჯვება 1351 წელს. 1347 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ის პირდაპირ ურთიერთობაში შევიდა პაპ კლიმენტი V-სთან და შესთავაზა კრების ჩატარება ლათინელების მიერ დაპყრობილ კუნძულებზე - ევბესზე, ან როდოსზე, რომელზეც ობიექტურად განიხილავდნენ რწმენის სკითხებს. შეთავაზებაზე 1352 წელს პაპმა ინოკენტი IV-ემ უარყოფითად უპასუხა;

3. კანტაკუზენს კვლავ მიეცა საშუალება განეახლებინა თავის შეთავაზება ბიზანტიაში პაპის გავლენიან ლეგატთან - პავლესთან 1367 წელს, სადაც იგი აგრეთვე უარყოფდა იმპერატორული განკარგულებით თავსმოხვეულ კავშირს და ამტკიცებდა ფართო წარმომადგენლობითი კრების მოწვევის აუცილებლობას. იგი აღიარებდა, რომ ტრადიციული „პენტარქიული“ დელეგატობა არასაკმარისი იყო, რადგან აღმოსავლეთის პატრიარქების გავლენა მხოლოდ ნომინალური გახდა, ამიტომ მისი აზრით საჭირო იყო არა მხოლოდ მსოფლიო საპატრიარქოს ყველა მიტროპოლიტის დასწრება: რუსეთის,

ტრაპიზონის, ალანიის და ზიქიის, „მოშორებული“ მიტროპოლიების ჩათვლით, არამედ ქართველი კათოლიკოსის, ტირნოვის პატრიარქისა და სერბეთის „არქიეპისკოპოსის“ დასწრებაც. ისევ ისმოდა პირობა, რომ მოლაპარაკებები კონსტანტინოპოლში ან რომელიმე ზღვისპირა ქალაქში ჩატარებულიყო. კანტაკუზენის 1367 წლის შეთავაზება დრამატული გარემოებების პირობებში განხორციელდა, როდესაც იმპერატორი იოანე V პალეოლოგოსი დაბრუნდა უშედეგო და დამამცირებელი მგზავრობიდან უნგრეთში, სადაც ის სამხედრო დახმარებას ითხოვდა, მაგრამ უარი მიიღო იქამდე, სანამ არ მოექცეოდა ლათინურ მრწამსზე. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორული პარტია, ბიზანტიის პალამიტური იერარქია მხარს უჭერდა კრების იდეას, მოლაპარაკება ჩაიშალა ურბან V-ის წერილის მიღების შემდეგ, რომელშიც იგი ისევ რომისადმი მორჩილებას მოითხოვდა.[61]

4. „დიდი სქიზმა“ (1378-1417 წწ.) რადიკალურა ცვლის დასავლეთისადმი დამოკიდებულებას. „აღმოსავლური ეკლესიის წარმომადგენლები სულ უფრო მეტ იმედებს ამყარებენ გაერთიანებულ კრებაზე. ცნობილია რუსეთის მიტროპოლიტის კიპრიანეს მცდელობა 1396 წელს. წარმოშობით ბულგარელი, იგი პატრიარქ ფილოთეუსის თანმოაზრეების ვიწრო წრეს ეკუთვნოდა და იყო პოლონეთის მეფის იაგაილოს „დიდი მეგობარი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი რომაულ-კათოლიკურ რწმენაზე გადავიდა (1386 წ.), რითაც შეიქმნა გამაერთიანებელი იდეის ახალი კერა, ამჯერად, მას წინ აღუდგა კონსტანტინოპოლის პატრიარქი ანტონი, რომლის პროექტს უადგილოს უწოდებდა და სამხედრო დახმარებას ითხოვდა. კიპრიანეს იდეა მაინც არ იქნა ბოლომდე უარყოფილი. კიევის მიტროპოლიტი ცამბლაკი 1418 წელს დაესწრო კრებას კონსტანცაში და პატივით იქნა მიღებული პაპ მარტინ V-ის მიერ, მაგრამ პაპი მოითხოვდა კრებაში ყველა აღმოსავლური ეკლესიის მონაწილეობას.[62]

5. ბიზანტიის მეფეებმა „მსოფლიო გამაერთიანებელ კრებაზე“ რეალური საფუძველი მოიპოვეს მას შემდეგ, რაც კონსტანცაში კრების პარტიამ გაიმარჯვა. არჩეული პაპის მარტინ V კრების დადგენილების მიხედვით ვალდებული იყო დამორჩილებოდა

[61]ნ. ლადარია. დიდისქიზმა // ტაბულა, 2010, 22 მარტი, გვ. 5
[62]ნ. ლადარია. დიდი სქიზმა // ტაბულა, 2010, 22 მარტი, გვ. 5

კრებას რწმენის საკითხებში, ამიტომ მას არ შეეძლო უბრალოდ მოეთხოვა მორჩილება ბერძნებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ კანტაკუზენის 1350 და 1367 წლების ინიციატივებს ეყრდნობოდნენ. აქტუალური იყო აგრეთვე კრების ზღვისპირა ქალაქში ჩატარების მოთხოვნა, რათა მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში ბერძნებს ჰქონოდათ უკან დასახევი გზა. შესაძლოა ამ პირობამ გამოიწვია ბიზანტიელების მიერ ბაზელის კრების სანაცვლოდ პაპ ევგენიზე არჩევანის გაკეთება, რადგან იგი არ მოითხოვდა ალპებს მიღმა მგზავრობას. ასევე კანტაკუზენის გეგმასთან თანხმობაში - სახეზე იყო ძალისხმევა, რათა აღმოსავლეთის ეკლესია წარმოდგენილი ყოფილიყო არა მხოლოდ „ოთხი პატრიარქით“ არამედ ფართე წარმომადგენლობით. აქ წარმოდგენილი იყვნენ ტრაპიზონისა და რუსეთის მიტროპოლიტები, ასევე მოლდოვალახის მიტროპოლიტი. ბალკანეთის სლავები ამ დროისათვის უკვე თურქეთის ბატონობის ქვეშ იყვნენ. ამიტომ ბულგარეთიდან და სერბეთიდან წარმომადგენლობა არ შედგა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დასწრება. ელჩობის გეოგრაფიულ განფენილობას ორგანიზატორებისათვის და საღვთისმეტყველო დისპუტებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგან წარმოდგენილ ეპისკოპოსებს შორის ცოტა იყო კარგი თეოლოგი. კრებაზე ისინი სრულ პასიურობას იჩენდნენ.[63]

აქედან გამომდინარე, გადაწყდა ეკურთხათ ნიკეის, ეფესოსა და კიევის კათედრებზე ორი ინტელექტუალი - ბესარიონი და მარკოზი, ასევე დიპლომატი ისიდორი. სამივე ქიროტონია შედგა 1437 წელს კრების წინა დღეს. ასე, რომ ელჩობა შეიცავდა „ჰუმანისტს“ ბესარიონის სახით და პალამისტური ღვთისმეტყველების აღიარებულ წარმომადგენელს მარკოზ ეფესელის სახით. ტრადიციულ, ანუ „კონსერვატორულ“ მიმდინარეობას ათონელი ბერ-მონაზვნები წარმოადგენდნენ.

ორთოდოქსულ წრეებში გაბატონებულ აზრს XIV საუკუნეში პატრიარქი ფილოტეუსიც იზიარებდა, რომ კრება შესაძლებელი იყო დასრულებულიყო მართლმადიდებლური შეხედულებების გამარჯვებით და, ფილიოქვესა და

[63]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 615-616

ეკლესიოლოგიის საკითხებში ლათინები ორთოდოქსულ ინტერპრეტაციას მიიღებდნენ. იმედი იმის თაობაზე, რომ გაერთიანების საკითხი თავისუფლად შეიძლებოდა განხილულიყო კრებაზე. და რომ ეს არ იქნებოდა უბრალო გადასვლა ლათინურ მრწამსზე - პაპის დაქვემდებარებაში იძენდა საფუძველს სწორედ ისეთი პირების მეოხებით, როგორიც იყო მარკოზ ეფესელი. მიუხედავად ჯვაროსნული ლაშქრობების მწარე გამოცდილებისა, ლიონიის უნიისა და მრავალი კონფლიქტისა კვიპროსსა და უნგრეთში, - როდესაც ლათინები ძალაუფლებით ტკბებოდნენ, - ბევრი ფიქრობდა, რომ „მართლამადიდებლობის გამარჯვება“ მსოფლიო კრებაზე ჯერ კიდევ შესაძლო იყო. ამის გარდა, ცხადი იყო, რომ პაპის პოზიციაში რადიკალური ვცლილებები მოხდა, რადგან მიღებული იქნა იდეა სწორუფლებიანი საყოველთაო კრებისა, რომელზეც ყველა მოსაზრებას თანაბარი ძალა ექნებოდა. სწორედ ასეთი იყო ის ვალდებულებები, რომლებიც პაპმა მარტინ V-მ და ევგენი IV-მ ითავეს და განსხვავებით წინამორბედებისაგან მზად იყვნენ დიალოგისთვის და არა დიქტატისთვის.

„მერვე კრების“ სახელით მოწვეული კრება უშედეგოდ დასრულდა. გაერთიანების თეორიული საფუძველი პრაქტიკულად არ განხორციელდა. შეიძლება ითქვას 1438-1439 წლებში შიდაქრისტიანული განხეთქილება უფრო ღრმა იყო, ვიდრე დღეს, მით უმეტეს, რომ დღეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებზე საუბარი ძნელია და ისინი, როგორც მიიჩნევენ უფრო ფორმალური მნიშვნელობის მატარებელ ცნებებად რჩებიან.

ევროპული რეფორმაციის ძირითადი ბირთვიც, ეკლესიისა და ძალაუფლების (ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნების) საბედისწერო აღრევა იყო. რეფორამტორების პროტესტი საეკლესიო კორუფციის, რომაული იერარქიის დეგრადაციისა და ზოგადად იმ დროის რომაულ-კათოლიკური რეფორმის მოთხოვნისათვის.[64]

XIX საუკუნეში პროტესტანტულ ეკლესიებს შორის გაჩნდა სწრაფვა კონფესიონალური გაერთიანებისა და ალიანსების შექმნისკენ.

---

[64]ქ. მაჩხანელი, ქ. იდეოლოგიური ომის საფრთხე საზოგადოებას "ტრანშეებს" ათხრევინებს // რეზონანსი. - თბ., 1997. - 27 ივლისი. - N203. - გვ.3

საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით შეიქმნა:

1. 1867 წელს - ანგლიკანური ეკლესიების ლამბერტული კონფერენცია, რომელიც დღემდე ტარდება ყოველ ათ წელიწადში ერთხელ;

2. 1868 წელს - ლუთერანული ეკლესიების გენერალური კონფერენცია, რომელმაც 1945 წელს ლუთერანთა მსოფლიო ფედერაციის სახე მიიღო;

3. 1877 წელს - რეფორმატორული ეკლესიების მსოფლიო ალიანსი;

4. 1881 წელს - მსოფლიო მეთოდისტური საბჭო;

5. 1905 წელს - ბაპტისტთა მსოფლიო ალიანსი.[65]

კონფესიონალური გაერთიანებების შექმნამ „ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის“ იდეას ბევრი ვერაფერი შემატა, მაგრამ ის მაინც იყო „დიდი მიზნისთვის მცირე ფასეულობების გაწირვის“ კერძო შემთხვევა, რაც მომავალში ეკუმენურად მოაზროვნე ნებისმიერი ქრისტიანისათვის ერთადერთ გამოსავალსა და მოვალეობას წარმოადგენდა.

თეოლოგიურ-მისტიკურ ჭრილში განხილული ეკლესიათა გაყოფა კოსმიური მასშტაბის ცოდვა, „მკვდრეთით გამოხსნილი“ ადამიანის მეორედ დაცემა და ღვთის ნებისა და განგების არათუ უგულებელყოფა, არამედ პირდაპირი უარყოფა, რის მიმართაც გულგრილი ვერ დარჩება ვერც ეკუმენისტი, ვერც ანტიეკუმენისტი. ქრისტიანები, რომლებიც შეეგუენ გაყოფილ ქრისტეს სხეულს, პოლემიკასა და ურთიერთბრალდებებს მიეცენ, რასაც შედეგად მოჰყვა რწმენის აშკარა კრიზისი, სეკულარიზაციის გამწვავება საზოგადოებაში, ფუნდემენტალური და აღმოსავლურ - ოკულტური სექტების ფართო გავრცელება.[66]

---

[65]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 617

[66]შხამი ეკუმენიზმისა // ჯორჯიან თაიმსი. - თბილისი, 2004. - 1-8 ივლისი. - N26. - გვ.12

თავი V

ეკუმენური მოძრაობა და საეკლესიო განხეთქილების მცდელობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში (1997 წ.)

1997 წელს საქართეველოს ეკლესიის შიდა მდგომარეობა დაიძაბა მოსალოდნელი საეკლესიო განხეთქილების გამო. უთანხმოების საბაბი გახდა საქართველოს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა. საეკლესიო განხეთქილების მცდელობას წინ ექვსწლიანი მოსამზადებელი პერიოდი უძღვოდა და შორეულ წარსულში იღებდა სათავეს. საქართველოს საპატრიარქოსგან რამდენიმე ბერის განდგომის მიზეზი საქართველოს ეკლესიის ეკუმენური მოძრაობიდან გამოსვლის მოთხოვდა იყო. მათი მოთხოვნილების ხასიათი, მოქმედების მეთოდოლოგია და სტრატეგია აშკარას ხდიდა მათ კავშირს სქიზმატურ დაჯგუფებებთან (საბერძნეთის, ჩრდილო ამერიკის და სხვდასხვა ე.წ.

„სინოდებთან“). საქართველოს ეკლესიის შიდა დაპირისპირებას სერიოზული წინაპირობა გააჩნდა.

1924 წელს საბერძნეთში გატარდა საეკლესიო კალენდარული რეფორმა, რაც ხელსაყრელ საბაბად იქცა იმ ძალებისათვის, რომელთაც საბერძნეთის ეკლესიაში არეულობისა და დაპირისპირების შეტანა სურდათ. მათ ისარგებლეს საზოგადოების საღვთისმეტყველო საკითხებში გაუცნობიერებლობით და დაპირისპირების ტალღა ააგორეს. ისინი არაპროფესიონალურ დონეზე მსჯელობდნენ და განიხილავდნენ საეკლესიო კალენდარულ საკითხებს და საეკლესიო ეორტალოგიურ (მართლმადიდებლური დღესასწაულების საკითხები) ტრადიციას უთანაბრებდნენ საეკლესიო დოგმატს, რაც საეკლესიო კანონმდებლობის დარღვევის მომასაწავლებელია, რამეთუ დღესასწაულებთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების ხარისხში აყვანას საეკლესიო კანონმდებლობა კრძალავს, ამიტომ დაუშვებელია ის გახდეს დაპირისპირების მიზეზი და ამის გამო დაირღვეს ეკლესიის მთლიანობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რა იღებს ე.წ. ახალ სტილს, მაგრამ ამავდროულად მას არ მიიჩნევს დოგმატური მნიშვნელობის საკითხად. ამიტომ არ თვლის საჭიროდ ახალ სტილზე გადასვლას ეკლესიებთან ევქარისტული კავშირის გაწყვეტას. ამ ნიადაგზე არასდროს მომხდარა ახალი და ძველი კალენდრის მიმდევარ ავტოკეფალურ მართლადიდებლურ ეკლესიებს შორის ლოცვით-ევქარისტული კავშირის გაწყვეტა.[67]

აღნიშნული საბაბით, XX საუკუნის 20-30-იან წლებში ზილოტმა ბერებმა დაიწყეს საბერძნეთის ეკლესიებში საზოგადოებრივი აზრის მომზადება ეკლესიაში განხეთქილების შეტანის მიზნით. ეს ბერები აღმოჩნდნენ პოლიტიკური ძალების ხელში ბრმა იარაღი თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის. ბერებმა შექმნეს დამოუკიდებელი ე.წ. „სინოდები“.[68]

---

[67]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 620

[68]ნიკოლოზი (მახარაძე) მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე // ჯვარივაზისა. - თბილისი, 1983. - N1. - გვ.11

1923 წელს საბერძნეთის რესპუბლიკამ მიიღო ახალი კალენდარი. ეკლესიამ გამოყო ხუთი კაცისაგან შემდგარი საბჭო იმის დასადგენად, თუ რომელი კალენდრით უნდა ესარგებლა საბერძნეღის ეკლესიას. 1923 წლის 18 იანვარს გამოიცა ეკლესიის გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფოს უნდა ემუშავა ახალი კალენდრით, მაგრამ ეკლესია ისევ იულიანეს კალენდრს უნდა გაჰყოლოდა.[69]

კალენდრის შეცვლა სამღვდელოების გარკვეულმა ნაწილმა და განსაკუთრებით კი ათონის მთის ზოგიერთმა მონასტერმა ეკლესიის მოდერნიზაციის მცდელობად ჩათვალა და მოუწოდა მორწმუნე ხალხს წინ აღდგომოდნენ საბერძნეთის ეკლესიისა და ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას.

სამღვდელოების გარკვეულმა ნაწილმა და საბერძნეთის მაშინდელი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა მღვდლის იოანე ფლოროსის თავმჯდომარეობით ჩაატარეს კრება და დააფუძნეს „ძველი კალენდრის მიმდევართა საზოგადოება“. დაიწყეს წირვა-ლოცვიოს ჩატარება კერძო სახლებსა და საგვარეულო ეკლესიებში. მათ 19 იანვარს ჩაატარეს მიტინგი, რომელიც ხელისუფლებამ დაარბია.[70]

მართლმადიდებლურ ეკლესიაში მოქმედებს მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 კანონი, რომელიც იუწყება ეკლესიაში უკმაყოფილოთა და მამხილებელთა საჩივრის წარდგენის წესზე, რომელიც ზილოტებს არ დაუცავთ და საეკლესიო დადგენილებების სრული დარღვევით მოქმედებდნენ. ზილოტი ბერებისაგან განსხავავებით მოქმედებდნენ ათონის წმინდა მთის ბერები. მათ წმინდა მთის ძმობის (კინოტი) სახელით წერილობით დასაბუთებული თხოვნა წარუდგინეს მსოფლიო პატრიარქს ძველი კალენდრის შენარჩუნების თაობაზე, რაზეც პატრიარქისაგან თანხმობა მიიღეს.[71]

1929-1931 წლებში საბერძნეთში დაარსდა „ძველი კალენდრის მიმდევართა“ ანუ ჭეშმარიტ მართლმადედებელთა“ 245 ფილიალი.

---

[69]თ. მესხი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თბ., 2012, გვ. 48
[70]თ. მესხი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თბ., 2012, გვ. 50
[71]კობახიძე, ბ. ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში // განახლებულიივერია, 1999, N4, გვ.9

აღსანიშნავია ისიც, რომ ათონის მთის გარდა საბერძნეთის რიგი ეკლესია ძველ კალენდარულ სტილს დღემდე იცავს. ამრიგად, საბერძნეთში მოქმედებს როგორც ძველი, ისე ახალი საეკლესიო სტილი, მაგრამ ეს არ მიანიშნებს არც ერთი მხარის მწვალებლობაზე.

საბერძნეთის ეკლესიაში 1935 წელს ზემოაღნიშნულ ნიადაგზე მოხდა განხეთქილება, რომელიც მთელი 11 წლის მანძილზე მზადდებოდა. შეთქმულმა მღვდელმთავრებმა მიიღეს საპროტესტო დეკლარაცია, რომლებშიც საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია მოძღვრების დარღვევაში დაადანაშაულეს, განუდგნენ მას ახალ საეკლესიო კალენდარულ სტილზე გადასვლის გამო და თავი საჯაროდ გამოაცხადეს „ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესიად“.

ამრიგად, კალენდარული რეფორმის მიღებიდან მეთერთმეტე წლისთავზე შეიქმნა „ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია“, რომლის პირველი მამამთავარი გახდა ფლორინის ყოფილი ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი. 1937 წელს ოთხი „მღვდელმთავრიდან“ ერთ-ერთი - მათეოსი გამოეყო ქრიზოსტომოსის დაჯგუფებას და ჩამოაყალიბა ცალკე „სინოდი“, რომლის წევრებიც „მათეანელების“, იგივე „კრეატეას სახელით არიან ცნობილნი. 1955 წელს ქრიზოსტომოსის გარდაცვალების შემდეგ „ფლორინის სინოდს“ სათავეში ჩაუდგა არქიმანდრიტი აკაკიოსი და დაჯგუფებამაც სახელად „აკაკიანელები“ მიიღო. რადგან მღვდელმთავრის ტიტულის გარეშე სინოდი არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ამიტომ აკაკიოსმა ხელდასმა ითხოვა ოფიციალური და არაოფიციალური ეკლესიებისგან. 1960 წელს მან თანხმობა მიიღო რუსეთის ემიგრანტული ეკლესიისაგან, რომელმაც ამერიკაში არაკანონიკური ქიროტონიები (ხელდასმა) აღასრულა. 1963 წელს სინოდის თავმჯდომარე გახდა ავქსენტიოსი და დაჯგუფებასაც ავქსენტიანელები ეწოდა.

„სინოდები“ ერთმანეთს მტრობდნენ და არც შიდა წესრიგი ჰქონდათ; ხშირი იყო უკმაყოფილების საბაბით ერთი სინოდიდან მეორეში გადასვლა, ან ახალი სინოდის შექმნა. ისინი არ ცნობდნენ ერთმანეთის მადლმოსილებას.

1979 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანდა, რასაც ძალზე განიცდიდა ქართველი მორწმუნე საზოგადოება. ეს

იმ პერიოდში მოხდა, როდესაც საქართველოში საერთოდ იდევნებოდა რელიგია. საბედნიეროდ, ღვთის წყალობითა და წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გადაწყდა, რომ საქართველოს ეკლესიას დაეტოვებინა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო.[72]

1980 წლის 15-დან 18 სექტემბრამდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივანი, დოქტორი გლენ ვილიამსი.

დოქტორი გლენ ვილიამსი მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. საუბრის ძირითადი თემა იყო ეკუმენური მოძრაობა, ეკლესიათა ურთიერთკავშირი და საბოლოო ჯამში მსოფლიო ეკლესიათა ერთ ეკლესიად გაერთიანება.[73]

XX საუკუნის 70-იან წლებში „ძველი სტილის დამცველთა“ ასპარეზზე ახალი „წმინდა სინოდი“ გამოვიდა, რომლის სათავეში იყო კვიპრიანე. ისინი განსაკუთრებით გააქტიურდნენ 90-იანი წლებიდან. კიპრიანე რამდენიმე გზის განკვეთეს, რის გამოც, მან „დამოუკიდებელი“ ეკლესიის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. ასე აღმოცენდა „წმინდა კვიპრიანეს სინოდი“.[74]

XX საუკუნის 90-იან წლების საბერძნეთის ეკლესიის პროცესებმა ანალოგი საქართველოს ეკლესიის 1997 წლებში ჰპოვა. ქართველი სამღვდელოების ერთი ნაწილის მოთხოვნა იყო საქართველოს ეკლესიის გამოსვლა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. ამ დაპირისპირებისას საქართველოს საპატრიარქოს განუდგენენ: ბეთანიის, გარეჯის, ზარზმის, ქვათახევის მონასტრები(იხ.დანართი N8, იხ.დანართი N9). მონასტრის

---

[72]შ. მერკვილაძე. ვინც მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტებას იპოვის, კვლავ განაგრძობს რაღაცის ძიებას, სიცრუეს დაეძებს http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/es-unda-vicodeth/2039-vinc-mas-shemdeg-rac-tceshmaritebas-ipovis-kvlav-ganagrdzobs-raghacis-dziebas-sicrues-daedzebs.html

[73]ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ იმდივნის, დოქტორ გლენვილიამსის ვიზიტი საქართველოში // ჟ. „ჯვარი ვაზისა“, 1980, №2, გვ. 19-20

[74]ქ. პავლიაშვილი, ქ.მოდერნიზმი ეკლესიაში - ეკუმენიზმი დამართლმადიდებლური ქრისტიანობა / ქ. პავლიაშვილი // კულტურის ისტორიისა და თეორიისსაკითხები. - თბილისი, 2002. - N11. - გვ.58

ბერებმა გადაწყვიტეს ევქარისტული კავშირი საქართველოს საპატრიარქოსთან, სანამ „მისი სინოდი მართლმადიდებლურ პოზიციაზე“ არ დადგებოდა, ანუ არ დატოვებდა მწვალებლურ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ორგანიზაციას.[75]

1997 წლის 20 მაისს „დილის გაზეთში“ გამოქვეყნდა ბეთანიის, შიო მღვიმის, დავით გარეჯის, ზარზმის და ჯიხეთის მონასტრების წინამძღვრების და ბერ-მონაზვნების კოლექტიური წერილები, რომელთა ავტორები გმობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობას (1962 წ. შევიდა) და აცხადებდნენ: „ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე - გვწამს რა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის სიწმინდე და ერთადერთობა და დაუშვებლად მივიჩნევთ რა მართლმადიდებლური ჭეშმარიტების შერყვნას ეკუმენისტური მწვალებლობის სიბილწით, ღვთისა და ღვთის მორწმუნე ერის წინაშე ვაღიარებთ: ჭეშმარიტებისა და სიცრუეს შორის არაფერია საერთო და ეკლესიის საქმე ვერასდროს გადაწყდება კომპრომისების გზით (წმ. მარკოზ ეფესელი). ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ეკუმენისტები და ლიტურგიკული ერთობა ვიქონიოთ მათთან, რადგან ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები“.[76]

წერილის ავტორები მოითხოვდნენ, საქართველოს სამოციქულო ეკლესია ოფიციალურად გამოსულიყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტული კავშირის გაწყვეტით იმუქრებოდნენ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. 1962 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს არავინ ეკითხებოდა საქართველოს ეკლესიას სურდა თუ არა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანება. შემდგომ პერიოდში (1978-80-იან წლებში) საქართველოს სამოციქულო ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ტრიბუნას იყენებდა მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან კონტაქტისათვის, (სხვანაირად მათთან შეხვედრა გაძნელებული იყო). ამ

[75]დ. გელაშვილი, გამოღმა შერჩენის იმედით... // საქართველოს რესპუბლიკა. - თბილისი, 1997. - 14 ივნისი. - N136, გვ. 3

[76]ს. ვარდოსანიძე. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბ., 2011, გვ. 144

კონტაქტებმა, ურთიერთობებმა დააჩქარა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარება.[77]

1997 წლის 20 მაისს თბილისში შედგა წმიდა სინოდის საგანგებო სხდომა, რომელმაც 5 საათიანი მსჯელობის შემდეგ გააკეთა განცხადება: „1962 წელს საქართველო გახდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი. 1979 წელს კი გაწევრიანდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში. უკანასკნელ ხანს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ცდილობს, მიანიჭოს ეკლესიოლოგიური ხასიათი თავად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის მრწამსს. ამ ეკუმენისტურ ეკლესიაში ნაკლებად არის გათვალისწინებული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესები, ამიტომ 1995 წლის სექტემბერში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე გამოითქვა აზრი ეკუმენისტური მოძრაობიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესაძლო გამოსვლის შესახებ. წმიდა სინოდმა გაითვალისწინა ყოველივე ზემოთქმული და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე განაჩინა: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან." რაც შეეხება მეორე საკითხს: წმიდა სინოდმა იმსჯელა იმ სასულიერო და საერო პირთა შესახებ, რომლებმაც გაწყვიტეს ევქარისტული კავშირი საქართველოს და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან იმ საბაბით, რომ ისინი არიან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრნი, რითაც სინოდის განცხადებით „ეკლესიაში განხეთქილების შეტანა სცადეს." წმიდა სინოდმა სხვადასხვა სასჯელი დაადო ზემოთ ჩამოთვლილი მონასტრების წინამძღვრებს, ბერ-მონაზვნებს, მორჩილებს და მოუწოდა მათ სინანულისაკენ. მოუნანიებლობის შემთხვევაში მათ დაედებათ საეკლესიო კანონის შესაბამისი სასჯელი."[78]

---

[77]ს. ვარდოსანიძე. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბ., 2011, გვ. 145

[78]ს. ვარდოსანიძე. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბ., 2011, გვ. 145-146

1997 წლის 20 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა იმის გამო, რომ ერთის მხრივ მსოფლიო საბჭო ავლენდა არამართლმადიდებლურ ტენდენციებს და მეორეს მხრივ, საქართველოს ეკლესიის სიმტკიცეს საფრთხე ემუქრებოდა, მიიღო გადაწყვეტილება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა განდგომისლთათვის და ისინი ამ ფაქტს მოჩვენებითი სიმშვიდით შეხვდნენ. მოგვიანებით, განდგომილთა ერთ-ერთმა თავკაცმა არქიმანდრიტმა იოანემ (შეყლაშვილმა) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ღია წერილით მიმართა: „რამდენადაც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან გამოსვლით სინოდმა აღიარა, რომ ეკუმენიზმი მწვალებლობაა, მან კავშირი უნდა გაწყვიტოს ყველა მართლამდიდებელ ეკლესიასთან, რომელიც ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობდა. თუ სინოდი არ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, მაშინ მისი დადგენილება ყოფილა მხოლოდ ტაქტიკური სვლა მხოლოდ მრევლის თვალის „ასახვევად“. ამ მოთხოვნის ასრულება საქართველოს ეკლესიას არ ძალუძდა, რამეთუ ერთი წმინდა და კათოლიკე ეკლესიისაგან მოწყვეტა ეკლესიისათვის სექტის სახის მიცემას ნიშნავდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განდგომილთა მოთხოვნას შემდეგნაირად უპასუხა; „ეშმაკის დამოძღვრა უფრო ადვილია, ვიდრე მწვალებელის მოქცევა... მთა უადვილეს ჩამოივაკებს, ვიდრე განდგომილი აღიარებს ჭეშმარიტებას“ (ეფრემ ასური), მაგრამ პატრიარქის შეგონებებმა შედეგი ვერ გამოიღო.[79]

ქართველი განდგომილთა უცხოეთის სქიზმატებთან კავშირზე მიანიშნებს „ავქსენტიანელთა სინოდის“ სამი ეპისკოპოსის ქართველ ბერებთან გამოგზავნილი მილოცვის წერილი (1997 წ.), რომლეც ამავე წლის ჟურნალ „ივერიის გაბრწყინების“ მე-18 ნომერში დაიბეჭდა.

საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებში ჩართული აღმოჩნდა საზღვარგარეთის რუსული ემიგრანტული ეკლესია. ქართველ განდგომილთა ერთი ნაწილი სიმპათიით იყო განწყობილი ემიგრანტული ეკლესიისადმი, მაგრამ ამ გრძნობას

[79]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 622-623

ისინი აშკარად არ ავლენდნენ, რამეთუ რუსული ემიგრანტული ეკლესია აშკარად ანტიქართული იყო. მისი სამღვდელოება იმპერიულ აზროვნებაზე იდგა, არ ცნობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას და მას რუსეთის ეკლესიის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა.[80]

1990 წლიდან განდგომილი ბერები დაუკავშირდნენ უცხოეთის მწვალებლურ დაჯგუფებებს და ერთმანეთთან შეუთანხმებლობის გამო სხვადასხვა დაჯგუფებებში გაერთიანდნენ: იოანე შეყლაშვილი და ანდრია ბოროდა „ავქსენტიანულ სინოდში“, გრიგოლ კობახიძე „ქრიზოსტომოსის სინოდში“, ვასილ მკალავიშვილი „კვიპრიანეს სინოდში“. თითოეული მათგანი მიიჩნევდა, რომ ის „ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესიის“ წევრი იყო.

საქართველოს საპატრიარქოსგან განდგომილმა სასულიერო პირებმა ე.წ. დამოუკიდებელი ეკლესია შექმნეს და მას უწოდეს „მართმადიდებელი ეკლესია საქართველოში“. აღნიშნული ეკლესიის წევრებმა აქტიური პროპაგანდა გაშალეს საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგ და სისტემატურად აქვეყნებდნენ პროზელიტური ხასიათის წერილებს. დაიწყო დეზინფორმაციისა და ცილისწამების კამპანია საერო პრესაში. ისარგებლეს რა საზოგადოების რელიგიური გაუთვითცნობიერებლობით, ეჭვი და დაბნეულობა შეიტანეს მათში. მაგრამ საქართველოს საპატრიარქო თავის მხრივ ძალ-ღონეს არ იშურებდა ჭეშმარიტების გამოაშაკარავებისა და დაძაბული ვითარების განმუხტვისათვის.[81] საქართველოს მართმადიდებელი სამღვდელოება პრესაში აქვეყნებს წერილებს მართლმადიდებლური სწავლების შესახებ. ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ აუცილებელი იყო მრევლის გაცნობიერება არსებულ ვითარებაში, ესწავლებინათ მათთვის მართლადიდებლური სწავლების საკითხები, მოეთხროთ საეკლესიო სხვადასხვა განხეთქილებების ისტორიაზე, წარმოეჩინათ ისტორიული შეცდომები და სხვ. ისინი თავს ერთადერთ ჭეშმარიტ

[80]დ. გელაშვილი. გამოღმა შერჩენის იმედით... // საქართველოს რესპუბლიკა. - თბილისი, 1997. - 14 ივნისი. - N136, გვ. 3

[81]ზ. ცხოვრებაძე, რა შეიძლება მოჰყვეს საეკლესიო განხეთქილებას? ვისკენ არის მიმაროთული საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა მზერა? // ჯვარივაზისა. - თბილისი, 1997. - N1, გვ. 136

ეკლესიად მოიაზრებდნენ, რომელიც ისევე იდევნებოდა სქიზმატიკოსთა მხრიდან, როგორც I საუკუნეში ქრისტე და მისი ჭეშმარიტი სწავლება: „და მაინც რად გვყვედრიან? რას გვერჩიან? იმას, რომ ჭეშმარიტ ეკლესიაში ყოფნა გვსურს? ან იქნებ უფლებაც არ გვაქვს მწვალებლობასა და უსჯულოების თანაზიარობას განვერიდოთ?“ - აღნიშნავდნენ განდგომილები.

აღსანიშნავია, ქართული პერიოდიკის როლი საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში მიმდინარე პროცესებში. თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი - სასულიერო და საერო - აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესებში და აშუქებდა მის ყველა დეტალს.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე პროცესები უკიდურეს შეშფოთებას იწვევდა საზოგადოების ყველა ფენაში; კეთდებოდა განცხადებები მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა და სხვადასხვა პროფესიის წარმოადგენელთა მხრიდან. აღსანიშნავია, რომ განდგომილთა მიმართ მხარდაჭერის ტენდენცია არ შეინიშნებოდა, თუ არ ჩავთლით, იმათ, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობდა მათ მოძრაობაში, ან პირადი ინტერესი არ ამოძრავებდა.[82]

1997 წლის 18 მაისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ თავის ეპისტოლეში აღნიშნა: „ეკუმენური მოძრაობა ადრეც არსებობდა, მაგრამ იგი უფრო ამ საუკუნის 30-იან წლებში გააქტიურდა, როცა სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანებმა დიალოგის გზით ერთმანეთთან დასაახლოებლად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შექმნა გადაწყვიტეს.[83]ამდენად, არ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ ეკლესიათა საბჭო ეს იგივე ეკლესიაა, მასში ერთი მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიები, ხოლო მეორე მხრივ პროტესტანტული მიმდინარეობანი, დენომინაციიბი შედიან, რომლებიც დროდადრო იკრიბებიან და ამის თაობაზე მსჯელობენ, როგორ დაუახლოვდნენ ქრისტიანები ერთმანეთს. მართალია, საშიშროება არსებობს, მაგრამ ღმერთმა გონება იმიტომ მოგვცა, რომ განვსაჯოთ, ეს საშიშროება, კერძოდ, რაში მდგომარეობს. მაგალითად, ეკლესიათა

[82]ილარიონი(ალფეევი). მართმადიდებლობა და ეკუმენიზმი // საქართველოსრესპუბლიკა, თბილისი, 1998. - 8 ოქტომბერი. - N260 (2960). - 1,6 გვ

[83]ზ. ცხოვრებაძე. რა შეიძლება მოჰყვეს საეკლესიო განხეთქილებას? ვისკენ არის მიმაროთული საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა მზერა? // ჯვარივაზისა. - თბილისი, 1997. - N1, გვ. 137 -

საბჭოში შემოიტანეს წინადადება, რომ ქრისტიანებს აღდგომა ერთდროულად ეზეიმათ. მოგეხსენებათ, რომ დასავლეთში პროტესტანტები და კათოლიკები აღდგომას ჩვენზე ადრე ზეიმობენ, მაგალითად, წელს სამი კვირით ადრე იზეიმეს. მართლმადიდებლებმა უპასუხეს, რომ თანახმანი არიან, აღდგომა ერთდროულად იზეიმონ, მაგრამ იმ დროს, როცა ამას მართლმადიდებლური კალენდარი მოითხოვს, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი მიიღეს. ასევე არსად არაა საჭირო ერთად ლოცვა, რომელიც აკრძალულია, მაგრამ შეხვედრები და საუბრები კი აუცილებელია."[84]

კათოლიკოს-პატრიარქმა აქვე აღნიშნა, რომ „რამდენიმე ბერის ბრმა ფანატიზმი იქამდე მივიდა, რომ მათი განცხადებით ისინი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის, კონსტანტინეპოლის და საერთოდ, ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან წყვეტენ ურთიერთობას, რომელიც კი ამ საბჭოში შედის. არ შეიძლება საქართველოს ეკლესია გამოეყოს მთელ მართლმადიდებლურ სამყაროს, ერთიან მართლმადიდებლურ ეკლესიას. რადგან ჩვენ, როგორც ეს მრწამსში წერია, ერთი, წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია გვწამს. საქართველოს ეკლესია ამ ერთი კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის წევრია და მას ვერ გამოეყოფა, რადგან ამით ეკლესიის მთლიანობას დაარღვევს".[85]

ეპისტოლეს დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქი შეეხო განდგომილთაც და აღნიშნა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანების უკან სხვა არაეკლესიური, არამორწმუნე ძალები დგას. ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ გარეშე მტერი მუდამ პოულობდა საქართველოში საყრდენს, ქართველთა შორის მოღალატეებს. მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმედი მაქვს, ისინი ღვთის მადლითა და წყალობით, შეიგნებენ რა საშიშროებას უქმნიან საქართველოსა და ქართულ ეკლესიას, მიხვდებიან, რომ ეს აქცია მათი მხრიდან ერისა და ეკლესიის ღალატს ნიშნავს და გონს მოვლენ. მე გთხოვთ, ყოველმა თქვენგანმა განსაკუთრებით გააძლიეროს ლოცვა და

---

[84]უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიილია II.
ფანატიზმს რწმენა და სიყვარული უნდა დავუპირისპიროთ.
ttp://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/skhva/fanatizmi.htm

[85]ლ. სარალიძე, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან // საქართველო-ევროპა-ამერიკა, თბ., 1997. - ტ.2. - გვ.146

ღმერთს შეევედროს, მისცეს საქართველოს ერთსულოვნება და ჩვენი ერი და ეკლესია გაამთლიანოს.“[86]

განდგომილ ბერთა სულის გადასარჩენად და საქართველოს ეკლესიის გასაძლიერებლად 1997 წლის ივნისში სამდღიანი მარხვა გამოცხადდა, რომლის აღსასრულს - 24 ივნისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ წირვა აღასრულა სვეტიცხოველში.[87]

1997 წლის აგვისტოში საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტმაც დაადასტურეს საქართველოს საპატრიარქოსადმი მხარდაჭერა.[88]

ქართველმა საზოგადოებამ გაიაზრა, რომ საეკლესიო არეულობა მხოლოდ ეკლესიის პრობლემა არ იყო, რომ ის უშუალოდ უკავშირდებოდა სახელმწიფოებრიობის სტაბილურობას, საზოგადოების კეთილდღეობასა და სიმშვიდეს.[89]

რამდენიმე წლის მოგვიანებით, განდგომილთა ერთი ნაწილი სინანულით დაუბრუნდა დედა-ეკლესიას და ამ უკანასკნელმაც ისინი სიყვარულით მიიღო.

ამრიგად, სქიზმის მცდელობის პრეცენდენტს გარკვეულწილად დადებითი შედეგიც მოჰყვა: საზოგადოება გამოფხიზლდა, გაერკვა რიგ საკითხებსა და ნიუანსებში, სასულიერი ლიტერატურის მეტი რაოდენობით გამოცემის საჭიროება შეიქმნა; სარწმუნოების ირგვლივ მეტი ცოდნის მღება-დაგროვება: გამოცოცხლდა სასულიერო დასი და საქართველოს მართლამდიდებელმა ეკლესიამ მეტი ბრძოლისუნარიანობა შეიძინა.

---

[86]უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიილია II.
ფანატიზმს რწმენა და სიყვარული უნდა დავუპირისპიროთ.
ttp://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/skhva/fanatizmi.htm

[87]გ. სანაია, ქართული ეკლესია დაპირისპირებას გადაურჩა // რეზონანსი. - თბილისი, 1997. - 21 მაისი. N136. - გვ.1-2

[88]ქ. პავლიაშვილი. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010, გვ. 624

[89]თ. გაბისონია. ქართული ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან გამოსვლა განდგომილ პირებს არ აკმაყოფილებთ : ისინი სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვენ // რეზონანსი. - თბილისი, 1997. - 31 ივლისი. - N207. - გვ.10

დასკვნა

ეკუმენური მოძრაობა, რომელიც ჩაისახა XIX საუკუნის შუა ხანებში პროტეს-ტანტული ქრისტიანობის წიაღში, გადაიქცა საერთო გლობალიზაციური პროცესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ელემენტად და მძლავრ იარაღად „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების საქმეში. იგი ოფიციალურად გაფორმდა 1910 წელს ედინბურგში (შოტლანდია) მისიონერთა მსოფლიო კონფერენციაზე, რომელსაც 1921 წელს „მისიონერთა საერთაშორისო საბჭო“ ეწოდა. მან იდეალად გამოაცხადა ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანება დოგმატური და კანონიკური განსხვავებების ხელშეუხებლად, რაც ნიშნავს ქრისტიანული კონფესიების თანაარსებობას საერთო პრინციპებისა თუ თეორიული წანამძღვარების საფუძველზე. ეს მოძრობა თანდათან გაფართოვდა და გაძლიერდა, შეიძინა მომხრეები პროტესტანტული სამყაროს გარეთაც. 1948 წელს ამსტერდამში შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო - ეკლესიების მსოფლიო საბჭო, რომლის უმაღლესი ორგანო იყო ასამბლეა.

ეკუმენური მოღვაწეობის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას ერთიანი ეკლესიის შექმნის პროპაგანდისტული საქმიანობა წარმოადგენს. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ მიმართულებით მუშაობა გააძლიერა როგორც პროტენტასტულმა, ისე კათოლიკურმა ეკლესიამ.

1962 წელს საქართველოს მართლადიდებლური სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი გახდა, ხოლო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ე ამ მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. სა-ქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუმენურ მოძრაობაში ყოფნისას საკუთარი ინტერესები გააჩნდა. საქართველოს ეკლესიამ მიზნად დაისახა

ღვთისმშობლის წილ-ხვედრი, უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობის გახსენება მსოფლიო საქრის-ტიანოსთვის.თუმცა,1997 წელს საქართველოს ეკლესიის შიგნით მდგომარეობა დაიძაბა და შეიქმნა საეკლესიო განხეთქილების საფრთხე. უთანხმოების საბაბი გახდა სწორედ, საქართველოს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა. საქართველოს საპატრიარქოს გა-ნუდგნენ: ბეთანიის, გარეჯის, ზარზმის, ქვათახევის მონასტრები. ქართული საზო-გადოება შეშფოთებული იყო საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებით. სა-ქართველოს ეკლესია იძულებული იყო დაეტოვებინა მსოფლიო საეკლესიო საბჭო.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთვის საქართველოს ეკლესიის „დაკარგვა“ უმნი-შვნელო მოვლენა არ იყო, რასაც საბჭო გულისტკივილით აღნიშნავდა და იმედს გამო-თქვამდა, რომ საქართველოს ეკლესიის წიაღში წამოჭრილი პრობლემები, რაც საბჭოს დატოვების მიზეზი გახდა, უახლოეს მომავალში გადაიჭრებოდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ისევ დაუბრუნდებოდა

სქიზმის მცდელობის პრეცენდენტს გარკვეულწილად დადებითი შედეგიც მოჰყვა: საზოგადოება გამოფხიზლდა, გაერკვა რიგ საკითხებსა და ნიუანსებში, სასულიერი ლიტერატურის მეტი რაოდენობით გამოცემის საჭიროება შეიქმნა; სარწმუნოების ირგვლივ მეტი ცოდნის მღება - დაგროვება: გამოცოცხლდა სასულიერო დასი და საქართველოს მართლამდიდებელმა ეკლესიამ მეტი ბრძოლისუნარიანობა შეიძინა. რისი გამოხატულებაც იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ეკუ-მენური მოძრაობის დატოვების შესახებ აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტი-ლების მიღება;რადგან ეკუმენისტური მოძრაობა "საყოველთაოს" ცნებაში სულ სხვა, ძველი დროისთვის უცნობ შინაარსს დებს. წმინდა მამებისეული ცნება მსოფლიო ეკ-ლესიისა (ხარისხობრივის მნიშვნელობით) გულისხმობს ჭეშმარიტების დამცველ, უც-დომელ მართლმადიდებელ ეკლესიას. მისგან განსხვავებით "ეკუმენისტური მოძრაობა" რიცხობრიობის მნიშვნელობით აერთიანებს "ეკლესიებად" წოდებულ რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც სხვადასხვა ქრისტიანული აღმსარებლობისგან არიან შე-კოწიწებულნი, რომლებშიც ჭეშმარიტება და სიცრუე გვერდიგვერდ არსებობენ.

თავდაპირველად ეკუმენისტური მოძრაობის მიზანი იყო მხოლოდ ქრისტიანულ მიმდინარეობათა სულიერი გაერთიანება. XX საუკუნის II ნახევრიდან კი გადაიქცა პანეკუმენისტურ ანუ საერთორელიგიურ მოძრაობად, რომელიც მოწოდებულია მსოფ-ლიოში (ეკუმენა) არსებულ ქრისტიანულ და არაქრისტიანულ რელიგიათა გასაერთია-ნებლად. საერთორელიგიური ეკუმენიზმის მრწამსის თანახმად, ადამიანთა ცხონება უნდა მოხდეს სხვადასხვა გზით, მათი რწმენის შესაბამისად, რადგან მიაჩნიათ, რომ ჭეშმარიტება მეტ-ნაკლებად ყველა რელიგიაშია და ცხონება ყველგან არის შესაძლე-ბელი. ე.ი. ეკუმენისტური მოძღვრებით, ყველა რელიგია - როგორც ქრისტიანული, ასე-ვე არაქრისტიანული - ამა თუ იმ ზომით ღვთივგამოცხადებულია და თითოეულში არსებობს მაცხოვნებელი ღვთის მადლი. არადა ყოველთვის ითვლებოდა და დღესავით ნათელია, რომ ქრისტიანული და არაქრისტიანული მიმდინარეობები სრულიად შეუ-თავსებელი არიან.ეკუმენიზმი ერთიანად დამღუპველია მართლმადიდებლებისთვისაც და არამართლმადიდებლებისთვისაც. არამართლმადიდებლები ეკუმენიზმის გზით ვერასოდეს ეზიარებიან ჭეშმარიტებას, მართლმადიდებლები კი განეშორებიან მას და სულს წარიწყმედენ.

1998 წლის 8 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა,რომელმაც განაჩინა:

I.მიუღებელია1990 და 1993 წლებში შამბეზში (შვეიცარია) მართლმადიდებელ ეკლესიასა და არაქალკედონურ (ორიენტალურ) ეკლესიებს შორის არსებული სა-ღვთისმეტყველო დიალოგის გაერთიანებული საღვთისმეტყველო კომისიის დოკუ-მენტები (ე. წ. „შამბეზის შეთანხმებები”).

II. მიუღებელია 1991 წლის, ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიასა და ანტი-ოქიის არაქალკედონიტ (ორიენტალურ) ეკლესიას შორის მიღებული წინასწარი შე-თანხმების პროექტი.

III. მიუღებელია 1993 წლის 23 ივნისს ბალამანდში (ლიბანი) მართლმადიდე-ბელთა და კათოლიკეთა ერთობლივი კომისიის მიერ მიღებული დოკუმენტი: „უნიატობა როგორც მეთოდი გაერთიანებისა წარსულში და ძიება სრული ერთობისა დღეს” (ე. წ. „ბალამანდის შეთანხმება”).

IV. მიუღებელია ფინეთის ავტონომიური ეკლესიის მიერ აღდგომის დღესასწაულის გრიგორიანული პასქალიით აღნიშვნა, რომელიც არ შეესაბამება ნიკეის I მსოფლიო კრების დადგენილებას აღდგომის დღესასწაულის თარიღის შესახებ. მა-გრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო მართლმადიდებლური პოზიციიდან გამო-მდინარე ეს არის კანონიკური დარღვევა, და არა მწვალებლობა. ამასთანავე მნი-შვნელოვანია,რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო (რომლის იურისდიქციაშიც შე-დის ფინეთის ავტონომიური ეკლესია) უარყოფითადაა განწყობილი ამ კანონიკური დარღვევისადმი და მიაჩნია,რომ აღდგომის დღესასწაული უნდა აღინიშნოს ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების შესაბამისად.

V. მიუღებელია არამართლმადიდებლური,მოდერნისტული თეოლოგიის წიაღ-ში ჩამოყალიბებული ეკლესიოლოგიური მწვალებლური სწავლება მაცხოვნებელი მადლის ეკლესიის კანონიკური საზღვრების გარეთ არსებობის შესახებ და მისი უკი-დურესი გამოვლინება ე. წ. „განშტოებათა თეორია”,რომლის მიხედვითაც დღეს არსებული სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობები განიხილება, როგორც ქრის-ტეს ჭეშმარიტი ეკლესიის სხვადასხვა თანაბარზომიერი განშტოებები, რომელნიც ერთნაირად ფლობენ ღვთაებრივ მადლსა და ჭეშმარიტებას.

VI. მიუღებელია არამართლმადიდებლებთან თანალოცვა და თანაზიარება, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ყოველთა მართლმადიდებელთა შეკრებაზე (ქ. თესა-ლონიკი, 1998 წლის 29 აპრილი – 2 მაისი) მიღებული საბოლოო დოკუმენტით, რომლის მე-13-ე მუხლის ბ) პუნქტში წერია:„მართლმადიდებელი დელეგატები არ მიიღებენ მონაწილეობას ეკუმენურ მსახურებაში, საერთო ლოცვებსა და ღვთის თა-ყვანისცემაში და ასამბლეის სხვა რელიგიურ ცერემონიებში”.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ათონელი ბერების ეპისტოლე იმპერატორისადმი, პატრიარქ იოანე ვეკკას წინააღმდეგ. - თბ., 2004, [ნაწ. 2] : პაპიზმი, ლეთერანიზმი, ეკუმენიზმი. - ორთოდოქსი, 2004.

2.ალექსიძე, ლ. ვატიკანის II კრება (1962 - 1965) , თბ., ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი , 2006

3.ანანია (ჯაფარიძე). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ნაწილი I, თბ., „გუმბათი“, 2012

4.არაბიძე, ი. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2013, ტ.2

5.არაშვილი, გ. ზოგიერთი კანონიკური საკითხის შესახებ, ნაწ. 1, თბ., 1998

6.ბრაგანტინი, გაბრიელე (მღვდელმსახური). ქრისტიანთა ერთობის ლოცვის კვირეული / მამა გაბრიელე ბრაგანტინი // საბა : საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე,თბ., 2011,იანვარი, N1

7.ბუჯიაშვლი, ე. მისიონერები // ჩვენი მწერლობა. - თბილისი, 2014. 11 ივლისი. - N14

8.გაბისონია, თ. ქართული ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან გამოსვლა განდგომილ პირებს არაკმაყოფილებთ : ისინი სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვენ// რეზონანსი, თბ., 1997, 31 ივლისი. - N207

9.გაზეთი „მადლი“ საქართველოს საპატრიარქო,გამოცემის წელი 1997

10.გელაშვილი, დ. გამოღმა შერჩენის იმედით... // საქართველოს რესპუბლიკა. - თბილისი, 1997, 14 ივნისი, N136

11.გიორბელიძე, ი.ეკუმენიზმი - ამაო ცდა ქრისტიანობის გაერთიანებისა. - ბათუმი: საბჭ. აჭარა, 1977

12.გიორგაძე, ლ. ეკუმენური მოძრაობა დასაქართველო// კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები,თბ., 2005, N21

13.გიორგი (კათსანი). ეკუმენიზმი და ეკუმენური მართლმადიდებლობა - [ად.ა.], 2002

14.გლდანის ეკლესია ამხილებს ანტიქრისტეს მოციქულებს, თბ., 1996

15.გულბიანი, ნ. რელიგია და სულიერი კულტურის სხვა ფორმები,თბ., 2012

16.გურიელი, ა. ჩვენი უკანასკნელი დროის მთავარი საფრთხის - ეკუმენიზმისა და პანეკუნიზმის მზაკვრული სახე // ქვაკუთხედი : ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჟურნალი,თბ., 2010, N12

17.ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივნის, დოქტორ გლენ ვილიამსის ვიზიტი საქართველოში // ჟ. „ჯვარი ვაზისა“, 1980, №2

18.ეკლესიის საზღვრები : მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა : [კრებული], თბ. : კვირიონი, 2000

19.ეკუმენიზმი-ანტიქრისტეს რელიგია, თბ. : მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში, 2002

20.ეკუმენიზმი ძალას იკრებს //ქვაკუთხედი : ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჟურნალი. თბ., 2018. N 2

21.ეკუმენური ქარტია : ევროპაში ეკლესიებს შორის მზარდი თანამშრომლობის პრინციპები, თბ., 2002

22.ერთად ევროპისკენ : [III ევროპული ეკუმენური შეხვედრა ქრისტიანთა ერთობის, სამართლიანი და მშვიდობიანი მსოფლიოსათვის] // საბა : საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე, თბ., 2007, აგვისტო, N8

23.ვატიკანის II კრების ძირითადი საკითხები : "როგორი ეკლესიის წიაღში უნდა მოხდეს გაერთიანება" // საპატრიარქოს უწყებანი. თბ., 2007, 26 აპრილი - 2 მაისი, N13

24.ილარიონი (ალფეევი). მართმადიდებლობა და ეკუმენიზმი // საქართველოს რესპუბლიკა,თბ., 1998. - 8 ოქტომბერი, N260

25.ითონიშვილი, ვ. ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან, თბ. : მემატიანე, 2003

26.ინასარიძე, კ. ეკუმენური მსოფლიოეთოსი?.. : Okumenisches Weltethos?.. // მებრძოლი საქართველო / ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, პარიზი, 2002, მაისი. N31

27.ისაკაძე, დავით (დეკანოზი). ეკუმენიზმი // 24 საათი, თბ., 2004, 10 ივლისი,N 162

28.ვარდოსანიძე, ს. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბ., 2011

29.კაფსანი, გ. ეკუმენიზმი და ეკუმენური მართლმადიდებლობა, [ად.ა.], 2002.

30.კიუნგი, ჰ. რამწამს,თბ., : კალამი, 2014

31.კობახიძე, ბ. ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში // განახლებული ივერია, 1999, N4

32.კოხი, კურტ (მთავარეპისკოპოსი). მეგობრობა, სიყვარული და ჭეშმარიტება - ეკუმენური დიალოგის საყრდენი : ამონარიდები "Osservatore Romano"-ში (15/09/2010) გამოქვეყნებული ინტერვიუდან // საბა : საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე,თბ., 2010, ოქტ. N10

33.ლადარია, ნ. დიდი სქიზმა // ტაბულა, 2010, 22 მარტი,

34.ლაზარე (აბაშიძე). ნუთუ მართლაც ეკუმენიზმს შეაქვს განხეთქილება საქართველოს ეკლესიაში? - თბ., 1997

35. ლემოჰოულოსი, გ. ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია // 24 საათი. თბ., 2004. 8 ივლისი, N160

36.მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა, კრ. 2, თბ. : თბილ. უნ-ტეტ "იბერიის" ჰუმანიტ.-თეოლ. კაბინეტის გამოც., 2004

37.მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრების შეურაცხყოფის გამო // 24 საათი. - თბ., 2004. - 30 აპრ. N101, გვ.A6

38.მაჩხანელი, ქ. იდეოლოგიური ომის საფრთხე საზოგადოებას „ტრანშეებს" ათხრევინებს// რეზონანსი. - თბ., 1997, 27 ივლისი, N203, გვ.3

39. მესხი, თ. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, თბ., 2012

40.ნიკოლოზი (მახარაძე) მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე // ჯვარი ვაზისა, თბ., 1983, N1

41.პავლიაშვილი, ქ. ქრისტიანობის ისტორია, თბ., „მერიდიანი“, 2010

42.პავლიაშვილი, ქ.მოდერნიზმი ეკლესიაში - ეკუმენიზმი და მართლმადიდებლური ქრისტიანობა// კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბ., 2002. N11

43.ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“,საქართველოს საპატრიარქო,გამოცემის წელი 1997

44.საქართველო და ქრისტიანობა : (2000 წლის 26-28 სექტემბერს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტში ჩატარებული ახალგ. მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნ. კონფერენციის მასალები), თბ., მემატიანე, 2001

45.პაპუაშვილი, ნ. რელიგიათა დაკულტურათა დიალოგი წარსულსა და აწმყოში : უძველესი ქართული წარწერები და ეკუმენური თანამშრომლობა // სოლიდარობა, თბ., 2010, N6

46. პოპოვიჩი, ი. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი, თბ., 1995

47. უნგიაძე, ა. ვატიკანი საქართველოს მოშორებას გეგმავს,თბ., 2004, 22-29 აპრ.,N16

48. ჭელიძე, ე. ანტიერეტიკონი : (მწვალებლობის წინააღმდეგ),თბ., 1997

49. როგავა, გივი. როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში : (XX საუკუნის 20-30-იანიწლები), თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1994

50.სარალიძე, ლ. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან // საქართველო-ევროპა-ამერიკა, თბ., 1997, ტ.2

51.სანაია, გ. ქართული ეკლესია დაპირისპირებას გადაურჩა // რეზონანსი, თბ., 1997, 21 მაისი, N136

52.სონღულაშვილი, მ.ეკუმენური მოძრაობა // სოლიდარობა, თბ., 2007, N16/17

53.ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია : [4 ტომად] ტ. 4, თბ. : უნივერსალი, 2013.

54.ქრისტოდულიუ ბერიპაისი : არ გაებათ მახეში : (ბოლო ჟამის შესახებ), თბ., 2004.

55.ცინცაძე, ნ. მსოფლიო, მსოფლიო ზნეობა და ჩვენ შხამი ეკუმენიზმისა // ჯორჯიან თაიმსი, თბ., 2004, 1-8 ივლისი, N26

56.ცხოვრებაძე, ზ. რა შეიძლება მოჰყვეს საეკლესიო განხეთქილებას? ვისკენ არის მიმაროთული საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა მზერა? // ჯვარი ვაზისა, თბილისი, 1997, N1

57.ხუციშვილი, ქ. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიმდინარე დაპირისპირებათა ზოგიერთი ვექტორი// კლიო : საისტორიო ალმანახი, 2004, N24

58.Епифания (Феодоропулоса), Две крайности: экуменизм и зилотствоМ., „Святая Гора“2006

59. Иустин Преподобный: Православная Церковь и экуменизм, М,, Паломник, 2006

60.Кураев А. Визов экуменизма, М., Грифон, 2008

61.Преподобный Иустин (Попович). Записки об экуменизме. «Православие» (альманах), выпуск I. М. 2012

62. Святой мученик Михаил Александрович Новоселов «Письма к друзьям». М., 1994

63.Федоров, В. Христианский экуменизм как социально-религиозный феномен (диссетация), Санкт-Петербург, 2000

64. James D.Borkwwski,Middle East Ecumenism from an Anglican perspective.Clovedale Books,2007.

65. Jeffrey G.Introduction to Ecumenism,Paulist Press,1998.

66.Suenes L.J- Oecuménisme et renouveau charismatique.

67.Tayard G -L Oecuménisme,Presses Universitaires de France.

ინტერნეტ საიტები

არსენი (ვლიანკოფტი) მართლმადიდებელი მონაზვნობა და რელიგიური სინკრეტიზმი. http://martlmadidebloba.ge/sacdurebi17.html

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ფანატიზმს რწმენა და სიყვარული უნდა დავუპირისპიროთ. ttp://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/skhva/fanatizmi.htm

შ. მერკვილაძე. ვინც მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტებას იპოვის, კვლავ განაგრძობს რაღაცის ძიებას, სიცრუეს დაეძებს. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/es-unda-vicodeth/2039-vinc-mas-shemdeg-rac-tceshmaritebas-ipovis-kvlav-ganagrdzobs-raghacis-dziebas-sicrues-daedzebs.html;

https://didgori.files.wordpress.com/2008/11/18_gldani-didgorimod2.pdf

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ისტორია. http://xareba.net/2488-eklesiatha-msoflio-sabtcos-istoria.ht

გ.ფერაძე. მსოფლიო კონფერენცია ლოზანაში „რწმენისა და საეკლესიო წყობისათვის". https://matiane.wordpress.com/2009/08/25/peradze-lausanne-conference/

ლ.მათეშვილი. თანამედროვე მართლმადიდებელი ეკლესიის დიალოგი და პრინციპები სხვა კონფესიების მიმართ. http://tdi.ge/ge/page/tanamedrove-martlmadidebeli-eklesiis-dialogi-da-principebi-sxva-konpesiebis-mimart

ს. ნინიკაშვილი. რას ნიშნავს ეკუმენიზმი?. http://www.ttimes.ge/archives/76194

Лебедев, А. (Протоиерей) Православная Церковь и экуменическое движение сегодня. https://www.fatheralexander.org/booklets/russian/ecumenism_a_lebedev.htm

Михаилидиса, Т. Православие и экуменизм http://agionoros.ru/docs/525.html.

https://rusidea.org/40331.

Bernard V. Orthodoxie et œcuménisme. In: Politique étrangère, n°4-5 - 1963 - 28ᵉannée. pp. 347-370; file:///C:/Users/User/Desktop/d/Orthodoxie-et-%C5%93cum%C3%A9nisme.pdf

Dumont-dressy Denise. Les protestants et l'œcuménisme. In: Raison présente, n°30, Avril – Mai – Juin 1974. L'automate et la pensée. pp. 69-88; file:///C:/Users/User/Desktop/d/Les-protestants-et-l%C5%93cum%C3%A9nisme.pdf

Fouilloux Étienne. Les voies incertaines de l'œcuménisme (1959-1999). In: Vingtième Siècle, revue d'histoire, n°66, avril-juin 2000. Religions d'Europe. pp. 133-145; file:///C:/Users/User/Desktop/d/Les-voies-incertaines-de-l%C5%93cum%C3%A9nisme-1959-1999.pdf

დანართები

დანართი N1

პირველი მსოფლიო კონფერენცია ქ. ლოზანაში (შვეიცარია) 1927 წელი

დანართი N2

მეორე მსოფლიო კონფერენცია ქ. ედინბურგი (შოტლანდია) 1937 წელი

დანართი N3

პირველ მსოფლიო მისიონერულ კონფერენცია ქ. ედინბურგი (შოტლანდია) 1910 წელი



დანართი N4

პირველი მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ასამბლეა. 1.ამსტერდამი 1948 წელი

დანართი N5

პირველი მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ასამბლეა. 1.ამსტერდამი 1948 წელი

დანართი N6

ვატიკანის მეორე კრებაზე მიღებული დოკუმენტი „კონსტიტუცია ეკლესიაზე“ (Lumen gentium” – “სინათლე ხალხს“).



ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ყველაზე წარმატებული ორგანიზაციული სტრუქტურები.2000 წელი

ბეთანიის მონასტრის ბერები

შიოღვიმის მონასტრის ბერები